ახალი განათლება

2012 წელი, 6-12 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№37 (591) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მთავარი თემა

გამიზნულად „ჩაგდებული“ სახელმძღვანელოები თუ მოუქნელი კონკურსის შედეგი

გამომცემლობა „დიოგენემ“, 28 ნოემბერს, FOR.GE-ს საპრესკონფერენციო დარბაზში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 და 2012 წლებში ჩატარებული სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსების შედეგებს მიუძღვნა ბრიფინგი.

გვერდი 2-3

სტუმარი

ტანკა ჩვენი სიცოცხლესავით ვატარაა, მაგრამ სიცოცხლესავით სავსე...

რუბრიკის სტუმარია პოეტი ირაკლი კაკაბაძე

გვერდი 4-5

„რა არის რა“

ახალი ტომები

მხოლოდ სამი თვე

ერთი ტომის ფასი 9 ლარი

მთავარი თემა

გამიზნულად „ჩაგდებული“ სახელმძღვანელოები თუ მოუქნელი კონკურსის შედეგი

ლალი ჯელაძე

2006 წლიდან გამომცემლობა „დიოგენე“ აქტიურადაა ჩართული ზოგადი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიმართულების – სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის – განხორციელებაში. რეფორმის პირველსავე წელს „დიოგენეს“ 12 სახელმძღვანელოს მიენიჭა გრიფი. ასეთივე წარმატებებით აღინიშნა შემდგომი წლებიც და, 2011 წლისთვის, გამომცემლობას უკვე 100-ზე მეტი დასახელების სახელმძღვანელო ჰქონდა გამოცემული როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სკოლებისათვის.

2011 წლიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა – გრიფირების კონკურსზე „დიოგენეს“ მიერ წარდგენილი 20 სახელმძღვანელოდან 18 იქნა დაწუნებული, ხოლო 2012 წლის კონკურსზე წარდგენილი 39 სახელმძღვანელოდან – 17.

„2011 და 2012 წლებში სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების წესში რამდენიმე ისეთი ცვლილება შევიდა, რომლებმაც, ფაქტობრივად, აზრი დაუკარგა კონკურსის ჩატარებას, თუმცა ამ პირობებშიც კი, იგი უაღრესად ტენდენციურად ჩატარდა. გარდა ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ ტენდენციურობას გამიზნული ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო იმ სახელმძღვანელოების ჩასაგდებად, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის და სახელმძღვანელოების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილიც ეკავა, – აცხადებს გამომცემლობის დირექტორი **თამარ ლებანიძე**, – *რამდენიმე წლის წინ სახელმძღვანელოების ბაზარზე მეორე პოზიციაზე ვიყავით რაოდენობის თვალსაზრისით, ამას კი, რასაკვირველია, ჩვენი სახელმძღვანელოების ხარისხი განსაზღვრავდა. მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დიმიტრი შაშკინმა ჩაიბარა და სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში ნათია ჯოხაძე მივიდა, დაიწყო მკვეთრი ცვლილებები, საკანონმდებლო და პროცედურული თვალსაზრისით, ასევე, ჩვენი აზრით,* – *არასწორი და, შესაძლოა, დანაშაულებრივი ქმედებებიც კი – ამ უარყოფითმა ცვლილებებმა დააზარალა არა ერთი და ორი გამომცემლობა, ასევე სკოლა, მოსწავლე და მასწავლებელი. სწორედ ამაზე გვინდა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.*

ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ კონკურსში მონაწილეობა ფასიანია, რასაკვირველია, თანხას იმისთვის იხდის გამომცემლობა, რომ გარკვეული ობიექტურობა იყოს გარანტირებული. შარშან, ჩვენმა გამომცემლობამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 59 200 ლარი გადაიხადა. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა და საჭიროა ამის შესახებ საზოგადოებამ იცოდეს. კონკრეტულად „დიოგენეს“ შემთხვევაში, გეტყვით, რომ მრავალპროფილიანი გამომცემლობა ვართ და გამოვცემთ არა მარტო სახელმძღვანელოებს. ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოებში იყოს ობიექტურობა და შედეგი.

მეორე, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, არის ის, რომ პრობლემები ამ სისტემაში ბოლო 3 წლის განმავლობაში გაჩნდა და ნელ-ნელა განვითარდა. ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა, რატომ ვიყავით ჩუმად, მაგრამ გიპასუხებთ, რომ ჩუმად არ ვყოფილვართ, ამას სასამართლო პროცესი ადასტურებს. ვცდილობდით სიმართლის დადგენას. ასევე, რეგულარულად ვლაპარაკობდით ამ სისტემაში შექმნილ პრობლემებზე შეხვედრებზე როგორც განათლების სამინისტროში, ისე სხვაგან, კოლეგებთან და, ნაწილობრივ, ჟურნალისტებთანაც. სისტემა მთლიანად ჩაიკეტა, ანონიმური გახდა, სიმართლის დადგენა კი – შეუძლებელი.

ჩვენი მთავარი მიზანი და ამოცანა, ამ ეტაპზე, არის ის, რომ გამოცდილება, რაც ამ ხნის განმავლობაში დაუგროვდა გამომცემლობებს, განზოგადდეს და გრიფირების წესზე მუშაობა განათლების სამინისტროსთან ერთობლივად შევძლოთ. აუცილებლად გავითვალისწინოთ უარყოფითი შედეგები, პროცედურული პრობლემები და ყველაფერი იდეალურად გავმართოთ, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო პროდუქტი – სახელმძღვანელო – ხარისხიანი იყოს, მოსწავლისა და მასწავლებლისათვის მისაღები. დღევანდელი ჩვენი ბრიფინგი, სწორედ ამას ეძღვნება – აშკარა გავხადოთ სისტემაში არსებული პრობლემები, რომლებმაც ბოლო წლების განმავლობაში ასეთი სერიოზული და მასშტაბური ხასიათი მიიღო და, სავარაუდოდ, კორუფციისა და დანაშაულებრივი ქმედებების პრობლემაც გამოიკვეთა. იმედია, სიმართლე გაირკვევა, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე და გამჭვირვალობა, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ამ სისტემას, უზრუნველყოფილი იქნება.“

ბრიფინგზე გამომცემელობა „დიოგენეს“ რედაქტორმა სოლომონ ნოზაძემ დეტალურად ისაუბრა, თუ როგორ ხდებოდა სახელმძღვანელოების გრიფირების ფალსიფიცირება და როგორ გაჩნდა პრივილეგირებული გამომცემლობა, რომელმაც მთლიანად აითვისა სახელმძღვანელოების ბაზარი არაკვალიფიციური ექსპერტების მიერ შეფასებული უხარისხო სახელმძღვანელოებით.

სოლომონ ნოზაძე: *„სამი წლის წინ დაიწყო ახალი ექსპერიმენტი, გამოცხადდა კონკურსი არა სახელმძღვანელოებზე, არამედ სახელმძღვანელოთა სერიებზე. ეს იმდენად სწრაფი ტემპი იყო, რომ გამომცემლობები ვერ ახერხებდნენ სრულფასოვანი პროდუქციის შექმნას, ამიტომაც იყო შემდეგ პრეტენზიები, რომ სახელმძღვანელო არ ვარგა. ჩვენც ვაღიარებთ, რომ 6-7 თვე ხარისხიანი სახელმძღვანელოს შესაქმნელად საკმარისი დრო არ არის. ვაბარებდით ნახევარფაბრიკატებს და შემდეგ ხდებოდა მისი გამოსწორება და სათანადო კონდიციამდე მიყვანა. შემდეგ, როცა ამ ცენტრის ხელმძღვანელად ნათია ჯოხაძე მოვიდა, წამოაყენა სავსებით სწორი და მისაღები იდეა, რომ სახელმძღვანელოები ყოველ წელს არ გამოსულიყო, ეს კონვეიერი შეწყვეტილიყო და თითოეული სახელმძღვანელოს შესაქმნელად უნდა გამოყოფილიყო მეტი დრო, ვთქვათ, ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში, საავტორო ჯგუფი მოახერხებდა კარგი სახელმძღვანელოს დაწერას, სხვათა შორის, ექსპერტებიც მოახერხებდნენ უფრო კვალიფიციურად შეფასებას. ისინი გრძნობდნენ, რომ ექსპერტიზა სათანადო დონეზე არ იყო. ეს ყველაფერი ქალბატონმა ნათიამ განუცხადა გამომცემლობებს. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობებს ასეთი მეთოდი სულაც არ აწყობთ და ურჩევნიათ, ყოველწლიურად გამოსცენ სახელმძღვანელოები (რადგან ეს მათთვის ფინანსურად უფრო მომგებიანია), რეალურად საღი და მისაღები წინადადება იყო. მაგრამ მოხდა სრულიად გაუგებარი და მოულოდნელი რამ, ერთი თვეც არ იყო გასული, ისევ დაიბარეს გამომცემლობები და უთხრეს, რომ კონკურსი გამოცხადდა არა პირველ ან მეორე კლასზე, არამედ პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ყველა სახელმძღვანელოზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გინდა, მაგალითად, III კლასის ქართულის სახელმძღვანელოზე მიიღო კონკურსში მონაწილეობა, უნდა დაწერო არა მხოლოდ მესამე კლასის, არამედ პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებ. წარმოიდგინეთ ასეთი აბსურდი – 6-7 თვეში ვერ ვასწრებდით ერთი სახელმძღვანელოს (და მხოლოდ ჩვენ კი არა, ვერავინ ვერ ასწრებდა) და როგორ მოვასწრებდით იმავე დროში 6 სახელმძღვანელოს დაწერას. თან ყოველი სახელმძღვანელოს შეფასება ცალ-ცალკე ქულით ხდებოდა – ანუ, თუ 6-დან რომელიმე სახელმძღვანელო ვერ მიიღებდა გამსვლელ ქულას, კონკურსს მიღმა რჩებოდა. თან ეს იმის ფონზე მოხდა, რომ აიწია გამსვლელმა ქულამ – 50-პროცენტიანი ბარიერი 90 პროცენტით შეიცვალა, რაც იმთავითვე სრული აბსურდი იყო – იგივე დროში უნდა დაგვეწერა ექვსი სახელმძღვანელო და თითოეულს უნდა გადაელახა 90-პროცენტიანი ბარიერი.*

შეგვიძლია გითხრათ, რომ ეს იყო კონკურსის პირობა, რომელიც ვერ დაკმაყოფილდებოდა. ასეთი ბარიერი რომ ყოფილიყო ადრე, მაშინ ვერც ერთი სახელმძღვანელო გრიფს ვერ მიიღებდა და, წლების განმავლობაში, სკოლა სახელმძღვანელოების გარეშე დარჩებოდა.

რამ განაპირობა ბარიერის აწევა? ერთი შეხედვით, კეთილშობილური მოსაზრება იყო – მხოლოდ საუკეთესოები გასულიყო, სინამდვილეში ამაში ჩადებული იყო მარტივი ეშმაკობა – 90-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას ძალიან ცოტა სახელმძღვანელო შეძლებდა.

თუ გადახედავთ შეფასების სქემას, ნახავთ, რომ სერიიდან აგდებდნენ მხოლოდ ერთ წიგნს, ყველგან, ყველა გამომცემლობაში. თან არა ისე, რომ წიგნს დაბალი შეფასება ჰქონდეს, არა, 88 ან 87 ქულა აქვს მინიჭებული – ძალიან კარგი წიგნია, მაგრამ მცირე ლაფსუსი აქვს, ცოტა დააკლდა და ამიტომ ჩავარდაო. ეს სქემა ნათელს ჰფენს ყველაფერს.

პრაქტიკულად, არანაირი კონკურსი არ ტარდებოდა. წინასწარ იყო ცნობილი, რომელი სახელმძღვანელო უნდა გასულიყო და რომელი არა.

რაც შეეხება კონკურსის სხვა პირობებს, შეიძლება კურიოზებადაც კი მოგეჩვენოთ ან არ დამიჯეროთ. იმის გარდა, რომ ამდენი წიგნი უნდა მოგვემზადებინა, რაც ფარსი იყო, ასეთივე ფარსი იყო კონკურსის სახელმძღვანელოების შეფასება. მოგიყვანთ მაგალითს – „დიოგენეს“ ქართულის სახელმძღვანელოს აფასებდა ჯგუფი, რომელიც არ აფასებდა, მაგალითად, „ინტელექტის“ იმავე კლასის სახელმძღვანელოს, ანუ არ არსებობდა ჯგუფი, რომელიც საკონკურსოდ შესულ ყველა სახელმძღვანელოს იცნობდა, არ ხდებოდა შედარება, აქედან გამომდინარე – არც კონკურსი. ნამდვილად კურიოზია, რომ არ არსებობდა ჯგუფი, რომელსაც წაკითხული ჰქონდა ყველა სახელმძღვანელო, აქედან გამომდინარე, ექსპერტს წარმოდგენა არ ჰქონდა სხვა სახელმძღვანელოზე უკეთესი იყო თუ უარესი ის სახელმძღვანელო, რომელსაც ჩააგდებდა.

მესამე კურიოზი ის არის, თუ როგორ ხდებოდა ექსპერტების შერჩევა. შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითები, როგორ ირჩევდნენ ექსპერტებს. 1 მარტი კონკურსის ბოლო ვადაა, 12 რიცხვში მირეკავს ჩვენი ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორის მეუღლე, პროფესიით ისტორიკოსი და მეუბნება – დამირეკეს და მკითხეს, ხომ არ მოხვალ ისტორიის სახელმძღვანელოს შესაფასებლადო, ანუ შუა კონკურსში მას შესთავაზეს ექსპერტობა. ეს გამაოგნებელი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მირეკავს ჩემი ძმა, გიორგი ნოზაძე, რომელიც განათლების ექსპერტია, მათემატიკოსი და იმავეს მეუბნება, მასაც ექსპერტობა შესთავაზეს. უარის მიღების შემდეგ კი, ორივეს სთხოვეს, იქნებ სხვა მათემატიკოსი ან ისტორიკოსი მოგვიძებნოთო. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ ამის შემდეგ – კონკურსი ვინმეს აინტერესებდა? ექსპერტები ფორმალურად სჭირდებოდათ თუ მართლა შემფასებლებად? რაც მთავარია, ექსპერტები ორი კვირით ადრე უნდა მოემზადონ და შემდეგ ჩაერთონ კონკურსში, ამათ კი შუა კონკურსის დროს ჯერ შეკრებილიც არ ჰყავდათ გუნდი. მოხდა კიდევ ასეთი რამ, ჩემთან და ქალბატონ ლალისთან, რომელიც ასევე რედაქტორია გამომცემლობა „დიოგენეში“, მოვიდნენ ჩვენი მეგობრები, რომლებიც სახელმძღვანელოების ექსპერტებად იყვნენ მიწვეულები და გვთხოვეს, გვესწავლებინა მათთვის, როგორ შეეფასებინათ სახელმძღვანელოები. ჩვენ მათ ტრენინგი ჩავუტარეთ.

მთავარი თემა

ასეთი ვითარება იყო. ეს ყველაფერი ბადებს ეჭვს, რომ არანაირი კონკურსი არ ტარდებოდა და ეს იყო ფორმალობა.

როცა სიკო ჯანაშია იყო ამ ცენტრის ხელმძღვანელი, მაშინ სააპელაციო მექანიზმი არსებობდა, მართალია, აბსოლუტურად ფორმალური, რადგან სააპელაციო კომისიაც იმავე ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული, ვინც სახელმძღვანელოებს აფასებდნენ. როგორც წესი, სააპელაციო მოთხოვნები არ კმაყოფილდებოდა. მაგრამ შემდეგ, ეს აპელაციის მექანიზმიც გააუქმეს. მხოლოდ სასამართლოსთვის შეგეძლო მიგემართა. ეს, ჩვენს კისერზე ვიწვნიეთ და იმასაც გეტყვით, რა ხდებოდა სასამართლოში. საჩივარი შევიტანეთ ერთ-ერთ სახელმძღვანელოს – „ჩემი სამშობლოს“ – შემფასებელ რამდენიმე ექსპერტზე. მაგრამ ჩვენ ხომ ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობდით, სადაც კონკრეტულად რომელიმე ადამიანის საჩივარი, მთლიანად ცენტრის ან სისტემის, მეტიც, ხელისუფლების საჩივრად აღიქმებოდა. ისეთი რამ გამოვიარეთ, რამაც იმ „ლეგენდარულ“ წარმოდგენებსაც, რაც ჩვენს სასამართლოზე არსებობდა, გადააჭარბა.

ორი ექსპერტის შეფასება აბსოლუტურად იდენტურია, არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ყოველი სიტყვით, შეცდომებითაც კი. როცა მოსამართლეს ეს ვუთხარით, ასეთი პასუხი მივიღეთ, – რატომ არ შეიძლება ერთნაირი შეფასებები იყოსო. თუმცა, ექსპერტები მაინც დაიბარეს და ჰკითხეს, ერთმანეთისგან ხომ არ გადაიწერეს შეფასებები. პასუხი იყო – არა, არ გადაგვიწერია, ამას როგორ ვიკადრებდითო და ყველაფერი ამით დასრულდა. ასეთი იყო სასამართლო პროცესი... სხვათა შორის, აბსოლუტურად იდენტურია ქულობრივი შეფასებებიც. მაგალითად, ერთ-ერთი შეფასებისას ექსპერტს შეეშალა და, ერთის ნაცვლად, ორ გრაფაში ჩაწერა შეფასება – 0 და 1, შემდეგ იქვე გადაშლილია ნული და დატოვებულია 1. მეორე ექსპერტის შეფასების ფურცელზეც ზუსტად იგივე მეორდება. მიუხედავად ასეთი უამრავი არგუმენტისა, რასაკვირველია, სასამართლო პროცესი წავაგეთ და მთელი უბედურება „დიოგენეს“ გამომცემლობისთვის სასამართლოს შემდეგ დაიწყო, ანუ „დიოგენე“ პერსონა ნონგრატად გამოცხადდა და ანგარიში გაგვისწორეს – შემდეგ წელს, როცა კონკურსი გამოცხადდა, 20 სახელმძღვანელოდან 18 ჩავარდა, გავიდა მხოლოდ 2. წინა სტატისტიკით, პირიქით იყო ხოლმე. რაც მთავარია, ის ორი სახელმძღვანელოც მხოლოდ იმიტომ გავიდა, რომ არ ჰყავდა მოწინააღმდეგე. არც ერთი სახელმძღვანელოს ქულობრივი შეფასება არ ასახავდა მის სისუსტეს და სიძლიერეს. მაგალითად, მესამე კლასის ბუნების სახელმძღვანელო შედარებით სუსტი იყო, მეოთხე და მეხუთე კლასის ბუნების სახელმძღვანელოები კი, რომლებსაც წინა წლებში გრიფი ჰქონდა მინიჭებული, თან მაღალი შეფასებებით, გაცილებით ძლიერი. ეს სახელმძღვანელოები ერთი და იმავე ქულებით იყო შეფასებული. აქედან დასკვნის გაკეთება ძალიან იოლია, ვინმეს რომ წაეკითხა ეს სახელმძღვანელოები, ალბათ, თავში მოუვიდოდა აზრად, რომ შესაბამისი ქულები დაეწერათ, სისუსტის ან სიძლიერის მიხედვით, მეოთხე და მეხუთე კლასის სახელმძღვანელოები მეტ ქულებს იმსახურებდა. ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ექსპერტების მიერ წაკითხული აღმოჩნდა, მუსიკის სახელმძღვანელოა. ამის გამო მათ მადლობაც კი ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო ჩავარდა და გრიფი ვერ მიიღო, მაგრამ, რაც მთავარია, ექსპერტებმა სახელმძღვანელო წაიკითხეს.

და მაინც, რატომ მოხდა ეს?

ფორმალური მიზეზი – რაც შეიძლება მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოები შექმნილიყო და, რაც მთავარია, სახელმძღვანელოების რაოდენობას ეკლო. სხვათა შორის, ლიბერალიზაციის მომხრე ჩვენ არასდროს ვყოფილვართ (ბაზარზე ყოფილიყო 7-8 ან მეტი ერთი და იმავე დასახელების სახელმძღვანელო, ან თუნდაც 11 „დედაენა“), მაგრამ არც მკვეთრი შემცირების მომხრე ვართ (ვთქვათ 2-მდე დავიყვანოთ სახელმძღვანელოების რაოდენობა), რადგან ეს მკვეთრად ზრდის კორუფციის საშიშროებას. მით უფრო, როცა სერიული სახელმძღვანელოები შემოვიდა, აქ ლაპარაკია მილიონებზე. ამით შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი პრივილეგირებული გამომცემლობებისათვის. მაგალითად, ვინ დგას „მერიდიანის“ უკან, ეს პროკურატურამ უნდა გაარკვიოს. „მერიდიანი“ იყო ერთი „ჩვეულებრივი“, „საწყალი“ გამომცემლობა, რომელსაც წელიწადში 3-4 გრიფირებული სახელმძღვანელო ჰქონდა. შემდეგ, ეს ერთი „ჩვეულებრივი“ გამომცემლობა გადაიქცა მონსტრად, რომლის ყველა სახელმძღვანელომ მიიღო გრიფი, მეტიც – მასთან სხვა გამომცემლობებიც მიდიოდნენ, სთავაზობდნენ თავიანთ წიგნებს ავტორებით და თხოვნით – „დაკრიშე, გაიყვანე“ და მერე მოგება გავიყოთო.

გვქონდა ასეთი შემთხვევაც, ერთ-ერთ ჩვენს ავტორს, ნუგზარ მუზაშვილს „მერიდიანმა“ თანამშრომლობა შესთავაზა, ეს უფრო გარიგება იყო. ეს კონკურსამდე ათი დღით ადრე მოხდა. ისინი იმავე კლასის ქართულის სახელმძღვანელოს წერდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ასწრებდნენ. ამიტომ იფიქრეს, გამზადებულ სახელმძღვანელოს თავისი ავტორით წავიყვანთო, მაგრამ ვერ მოახერხეს, ანუ გარიგება არ შედგა! ავტორმა უარი განაცხადა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემნაირი პესიმისტი ადამიანის გაკვირვებაც კი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ „მერიდიანის“ სახელმძღვანელო გავიდა და ნუგზარ მუზაშვილის სახელმძღვანელო ჩავარდა. ანუ, ფაქტობრივად, გრიფი მიიღო არარსებულმა სახელმძღვანელომ და ჩავარდა ძალიან პოპულარული და კარგი სახელმძღვანელო. „მერიდიანმა“ 6 სახელმძღვანელო დაწერა 6 თვეში და, რაც მთავარია, ამ სახელმძღვანელოებმა 90-პროცენტიანი ბარიერი გადალახეს. მერწმუნეთ, 6 თვეში 6 წიგნის დაწერას კი არა, დაკაბადონებასაც ვერ მოასწრებთ. გამოიკვეთა ისიც, რომ მათი მიზანი მხოლოდ თავიანთი წიგნების გამარჯვება კი არა, სხვა გამომცემლობების დაძირვაც იყო. ამის შემდეგ რა კონკურსზე შეიძლება ლაპარაკი. მონოპოლია მთლიანად „მერიდიანმა“ აიღო და მას მიება „კლიო“, რომელიც იმ სახელმძღვანელოებს სთავაზობდა, რომელიც „მერიდიანს“ არ ჰქონდა.

ასე ხორციელდებოდა სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი, ცენტრს გარკვეული კვალიფიკაცია მაინც ჰქონდა, მას შემდეგ, რაც ეს ადამიანებიც ჩამოაცილეს საქმეს და კოკა სეფერთელაძეს შერჩა ყველაფერი, მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა. ამიტომაც მოგვარდა „ასე კარგად“ ყველაფერი. ისინი აბსოლუტურად არაკვალიფიციურები იყვნენ, ვერ მოაბეს თავი კონკურსის ჩატერებას, ვადების შენარჩუნებას, რეცენზიის დამწერი ხალხის მოძებნას.“

ბრიფინგზე გამომცემლობა „დიოგენემ“ საჯარო გახადა ის შესაძლო ცვლილებები, რომელიც „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფირების მინიჭების წესში“ შეიძლება განხორციელდეს. გამომცემლობის დირექტორმა იმედი გამოთქვა, რომ: „ერთობლივი ძალისხმევა ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას და განათლების სამინისტროს დღევანდელი მესვეურების მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ღია და გამჭვირვალე კონკურსის უზრუნველყოფას.“

რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, გამომცემლობის ინტერესების დამცველმა, იურისტმა ***ირაკლი ყანდაშვილმა*** *განაცხადა, რომ: „ვაპირებთ სათანადო რეაგირების მოხდენას. კერძოდ, გვაქვს კონკრეტული პრეტენზიები სახელმძღვანელოების 2012-2013 წლების გრიფირების მიმართ. მსგავსი პრეტენზიები აქვს არაერთ გამომცემლობას და რამდენიმეს უკვე შეტანილი აქვს განაცხადი პროკურატურაში. აღნიშნული მიმართულებით ჩვენც ვაპირებთ ნაბიჯების გადადგმას, ამის შესახებ ინფორმაციას საჯაროს გავხდით მედიისათვის.“*

P.S. *გაზეთის რედაქციამ კომენტარისთვის მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსს* **ნათია ჯოხაძეს** *და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.*

ნათია ჯოხაძე: *„უპირველესად, ჯერ უნდა გაიმიჯნოს გრიფირების პერიოდები 2011 წლის ჩათვლით და 2012 წელს. 2011 წლამდე სახელმძღვანელოების შეფასებისა და გრიფირების პროცესს ახორციელებდა სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ხოლო 2012 წელს სახელმძღვანელოების შეფასებისა და გრიფირების პროცესი განახორციელა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.*

2011 წლის ჩათვლით ჩატარებული სახელმძღვანელოების შეფასებისა და გრიფირების საკითხებზე ჩვენ ვამზადებთ დეტალურ ინფორმაციას, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვადგენთ დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე.“

ნანა კილასონია, სტრატეგიული განვითარების სამსახურის გრიფირების სამმართველოს უფროსი: *„მე არ ვარ უფლებამოსილი პირი ამ სკითხზე ჟურნალისტებთან გავაკეთო კომენტარი, მიმდინარეობს საკადრო ცვლილებები და დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ჯერჯერობით ვაკანტურია. გეტყვით იმას, რომ გამომცემლობა „დიოგენეს“ სახელმძღვანელოს ავტორებმა საჩივარი შეიტანეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ჩვენ ვამზადებთ პასუხს, ვრცელი ანგარიშის სახით, რომელიც მალე გახდება საზოგადოებისათვის ცნობილი.“*

ინფორმაცია

პედაგოგებთან შეხვედრები გრძელდება

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი** სკოლების პედაგოგებთან, დირექტორებთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან საინფორმაციო შეხვედრებს აგრძელებს. რუსთავის, გორისა და კახეთის რეგიონის შემდეგ, იმერეთის რეგიონისა და ლანჩხუთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. ცენტრის ხელმძღვანელმა ამომწურავად უპასუხა შეკითხვებს საგამოცდო სისტემაში დანერგილი სიახლეების თაობაზე.

ასევე, ისაუბრა გამოსაშვები გამოცდების ჩატარებაში განხორციელებულ იმ ცვლილებებზეც, რომელიც 2013-2014 სასწავლო წლიდან დაინერგება. ახალი მოდელის მიხედვით, მე-11 კლასის მოსწავლეები, სასწავლო წლის ბოლოს, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის გამოცდას ჩააბარებენ, მე-12 კლასში კი მათ ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის, მათემატიკისა და ისტორიის გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.

საუბარში ცენტრის დირექტორი იმ გამონაკლისსაც შეეხო, რომლის მიხედვითაც 2012-2013 სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეები გამოსაშვებ გამოცდებს ცენტრალიზებულად არ ჩააბარებენ. გამოცდის ფორმატს ინდივიდუალურად თავად სკოლა შეარჩევს. მაია მიმინოშვილი, საჭიროების შემთხვევაში, სკოლების წარმომადგენლებს თანადგომასა და მხარდაჭერას დაჰპირდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი საერთაშორისო სერტიფიკატების გაცემის უფლებას მიიღებს

გამოცდების ეროვნული ცენტრი მომავალი წლიდან კემბრიჯის უნივერსიტეტის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას (PET და FCE) გეგმავს.

საგამოცდო ტერიტორიის დათვალიერებისა და გამოცდებთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტების მიზნით, გამოცდების ეროვნულ ცენტრს კემბრიჯის უნივერსიტეტის განვითარების მენეჯერი **მაიკლ კარტი** ესტუმრა.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში არსებულ საგამოცდო სისტემასა და ახალი გამოცდების ჩატარების თავისებურებებზე ისაუბრეს.

PET – კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის საშუალო დონის საკვალიფიკაციო ტესტირებაა. სერტიფიკატი გამოიყენება სამუშაო, სასწავლო და სამოგზაურო მიზნებისათვის.

FCE-ის კემბრიჯის უნივერსიტეტის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდას უწოდებენ ინგლისურ ენაში. იგი გამოიყენება სამუშაო, სასწავლო და სამოგზაურო მიზნებისათვის, თუმცა წარმოადგენს უფრო მაღალ საკვალიფიკაციო დონეს, ვიდრე PET-ის გამოცდა.

კემბრიჯის ორივე ტესტირებისთვის გამოიყენება კომპიუტერი და ფურცელი.

დღემდე, კემბრიჯის გამოცდებს საქართველოში მხოლოდ ერთი ორგანიზაცია – ბრიტანეთის საბჭოები ატარებდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი TOEIC, TOEFL-ის და სხვა საერთაშორისო გამოცდების ჩატარებასაც გეგმავს.

შეხვედრა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის რუსული ენისა და ლიტერატურის კონსულტანტი **ნინო ფეტვიაშვილი** რუსული ენის მასწავლებლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მასწავლებლებმა მიიღეს ინფორმაცია გრძელვადიანი ტრენინგების, სამოდელო გაკვეთილების, სემინარების შესახებ. გაეცნენ იმ მომსახურებებს, რომელსაც მათ მასწავლებლის სახლი სთავაზობთ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც ყურადღება რუსული ენის სწავლებისას არსებულ პრობლემებზე გამახვილდა. აღნიშნული სახის შეხვედრები მასწავლებლის სახლში სხვადასხვა საგნის კონსულტანტებთან მომავალშიც გაგრძელდება.

სტუმარი

ტანკა ჩვენი სიცოცხლესავით ვატარაა, მაგრამ სიცოცხლესავით სავსე...

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული, პოეტ **იაკი კაბეს** ახალი ლექსების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. საინტერესო ის არის, რომ მინიმალისტური ლექსების – ძართულად დაწერილი ტანკების ავტორი იაკი კაბე ქართველი პოეტი **ირაკლი კაკაბაძეა.**

იაკი კაბეს ლექსები ისეთი რაფინირებული სისადავითაა გაჯერებული, შეუძლებელია მოისმინო და არ მოიხიბლო. სოციალურ თემებზე დაწერილი ტანკების განსაკუთრებული სახიერება, განწყობის მრავალფეროვნება სიცოცხლის ნაწილია და არსადაა მოწყვეტილი სინამდვილეს. თითოეულ ტანკაში ჩატეული მინიმალური ინფორმაცია, მკითხველში ემოციის ნიაღვარს იწვევს და მის ფანტაზიას უკიდეგანო სივრცეს უტოვებს.

აი, რას წერს წიგნის რედაქტორი, ქალბატონი **თამარ ბარბაქაძე**: *„...თანამედროვე ლექსის ტექნიკის შესაძლებლობათა გაფართოების ფონზე, საოცარია, რომ არ ნელდება ინტერესი უძველესი იაპონური სალექსო ფორმების: ტანკასა და ჰაიკუს მიმართ. XXI საუკუნის მსოფლიო კვლავ წარმოშობს კაძინს, ანუ ტანკას მთხზველს, ტანკას ქართველი ავტორი საკუთარ თავს იაკი კაბედ გვაცნობს, რათა პოეტური გარდასახვის ჯადოსნური ძალით მიაღწიოს თითქმის შეუძლებელს – იაპონური ეროვნული სალექსო ფორმა გუნებრივი და ახლობელი გახადოს ქართველი მკითხველისათვის. ტანკა „პატარა სიმღერაა“, ერთი შეხედვით, „არ არის მკაცრ“, ურითმოა და და თითქოს მკაფიოდ შესაგრძნობი მეტრიც არ არის საჭირო. იაკი კაბეს 100 ტანკა საუკეთესო საჩუქარია მკითხველთა იმ წრისათვის, ვისაც უყვარს იაპონური კულტურა, პოეზია, სადაც მეზობლობა სულიერი სიახლოვით იზომება და ფიზიკური სიშორე სრულად ქარწყლდება. კრებულის მე-7 ტანკა გვარწმუნებს, რომ გედნიერება მხოლოდ ერთურთის სულის თანაზიარებით მიიღწევა, რომ პოეზია „საიდუმლოა განდობილთათვის“:*

„სამი წელია,
რაც მეზობელმა ღობის იქით
მოჭრა ლეღვის ხე.
სამი წელია ღობის აქეთ არ ყვავილობს
ჩემი ატამი...“

ლეღვისა და ატმის ხეთა მსგავსად, ღობის, საზღვრების აქეთ-იქით ყვავის და გედნიერებისკენ ილტვის სხვადასხვა ერისა და კულტურის ადამიანი, რომლის სულს ერთი საზიარო სწრაფვა აქვს: უზენაესი მშვენიერების წვდომა და სიტყვებით გამოხატვა. იაპონური ტანკა, ამჯერად, სიმბოლური ფორმაა ავტორის ამ მიზნის მისაღწევად.“

– ირაკლი, მინდა ტანკას ისტორიის შესახებ ვისაუბროთ, როგორ წარმოიშვა და დაიწერა ტრადიციული ტანკა. როგორც ცნობილია, ფუძივარა-ნო ტეიკამ, 1219 წელს, დაწერა ტანკას წერის 10 მეთოდი, რომელიც ტანკას სკოლებისათვის ერთგვარ სახელმძღვანელოდ იქცა. ტანკა შეიძლება დაწერილიყო: მისტიკური და ღრმა, ჩვეული განაცხადით, დახვეწილი სილამაზის, გრძნობათა დადანაშაულებით, მოხდენილი სტილით, გარეგნული გამომსახველობითი, დახვეწილი დეტალებით და ბოროტების ჩახშობით. იყენებ თუ არა ამ მეთოდებს, მიმართავ თუ არა წერისას, რომელიმე ლიტერატურულ ხერხს?

ტანკა – მოკლე, გაურითმავი, 31-მარცვლიანი ლექსია, იაპონურად *„მოკლე სიმღერას“* ნიშნავს. მარცვლები, როგორც წესი, შემდეგნაირად ნაწილდება: 5-7-5-7-7. იგი დიდი ხნის წინათ აღმოცენდა და მე-7 საუკუნეში დამოუკიდებელ პოეტურ ჟანრად ჩამოყალიბდა, თავად ტერმინი „ტანკა“ კი მე-19 საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა. ამ სალექსო ფორმამ ძალიან დიდი გზა გაიარა, უამრავი იაპონელი პოეტის მსგავსად, არა ერთ ევროპელ თუ ამერიკელ ავტორს მოუსინჯავს ხელი ამ ჟანრში. დროთა განმავლობაში, ტანკას სტრუქტურის რეფორმირებაც ბევრჯერ მოხდა და დღეს ყველაზე გავრცელებულია თავისუფალი ტანკა, სადაც ესთეტიკა და განწყობა შენარჩუნებულია და დარღვეულია დამარცვლის წესი. ძველი ტანკა იაპონელ მიჯნურთა შორის საიდუმლო გზავნილებს წარმოადგენდა. სასიყვარულო ღამის ერთგვარი პროლოგი გახლდათ, მარაოზე დაგროვილი ემოციები სიტყვებით რომ იკვრებოდა. მადლობის ტანკა შუამავალს, საკეს სანაცვლოდ, უნდა წაეღო, ადრესატის ოჯახის წევრთან ფლირტის პერსპექტივით. ადრესატი კი, თავის მხრივ, ტანკათივე უხდიდა მადლობას საყვარელს და შუამავლის საფლირტაო არეც იზრდებოდა. ასე ახლოვდებოდნენ ადამიანები ტანკათი. თუ ადრესატს არ სურდა ტანკას დაწერა საყვარლისთვის, ლექსის ბოლოს ჩიტს ან ჯვარს სვამდა და ტანკას უკან უბრუნებდა.

ტანკა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ნატიფ და დახვეწილ პოეზიის ჟანრადაა აღიარებული. რატომღაც ჩვენთან ყველა ურითმო მინიმალისტურ ლექსს ტანკას უწოდებენ, რაც არ არის სწორი. აი, რას წერს ტანკას შესახებ პოეტი, მთარგმნელი **დავით წერედიანი**: *„იაპონური ტანკა პოეზიის სრულიად უნიკალური სახეობაა. მის მრავალ თავისებურებათა შორის ყველაზე აღსანიშნავი, ალბათ, ის არის, რომ ყოველი ტექსტი რამდენიმეგვარად წაკითხვას გვთავაზობს, ოღონდ ეს წაკითხვები ცალ-ცალკე, პარალელურად კი არ არსებობს, არამედ ერთდროულია, ერთმანეთშია ჩარწყმული...“*

– იაკი კაბეს ლექსების კრებულს წინ უძღვის ეპიგრაფი: *„ვუძღვნი უზენაეს მშვენიერებას – იაპონიას და უმაღლეს კეთილშობილებას – იაპონელ ხალხს“*. ალბათ, მკითხველს გაუჩნდება ინტერესი, საიდან მოდის ავტორის ასეთი ღრმა სიყვარული „ამომავალი მზის ქვეყნისადმი.“ ამბობენ, იაპონელები ევროპელებისგან ცა და დედამიწასავით განსხვავდებიან, სილამაზეს ერთობ თავისებურად აღიქვამენ, ახლად აყვავებულ საკურას და ქრიზანთემას მხოლოდ მათთვის გასაგები, ღრმა იაპონური ესთეტიკით დატვირთული მნიშვნელობა აქვს. მიამბე, იაპონელი ხალხის, მათი კულტურის შესახებ.

ამ შემთხვევაშიც ბავშვობიდან მოვდივარ და ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ვიყავი შეყვარებული იაპონურ ანიმაციებზე. მერე იყო **იშიკავა ტაკუბოკუს** ტანკების ქართული თარგმანები (რუსული გავლენით ჩვენთან, მას ისიკავა ტაკუბოკუდ იცნობენ). ფაქტობრივად, ეს იყო ავტორი, ვინც ჩემთვის იაპონური პოეზიის კარიბჭე გააღო, აღმომაჩენინა სამშობლო, სადაც გადავეყარე საკუთარ თავს და მშობლიურ შეგრძნებებს სამყაროსთან, ბუნებასთან და საკუთარ თავთან ურთიერთობისა. ეს იყო ჩვენი ხალხისთვის გაუსაძლისი და უმძიმესი წლები, მორალური და სულიერი კატასტროფის ხანა, ხოლო ამ სიტუაციაში იაპონური პოეზია ჩემთვის ყოფითობაზე და ცხოვრებისეულ ტრაგედიებზე ამაღლების საუკეთესო გზად იქცა. ამ პერიოდში გავიცანი საქართველოში მცხოვრები იაპონელი ქართველოლოგი **იასუჰირო კოჯიმა**, რომელმაც თავის თავში გააცოცხლა ყველა ჩემი წარმოდგენა იაპონელ ხალხზე – ზრდილობის, ადამიანური ურთიერთობების კულტურისა და თავმდაბლობის საოცარი მაგალითები. თამამად შემიძლია ვთქვა, როცა „იაპონური ფონდის“ გაცვლითი სასწავლო პროგრამის ფარგლებში იაპონიაში მოვხვდი, საფუძვლიანად ვიცნობდი იაპონურ ყოფას, კულტურას, ტრადიციებსა და წესებს, მაგრამ ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. არ მინდა ვინმემ წარმოიდგინოს, რომ იაპონიას ვხატავ, როგორც სამოთხეს დედამიწაზე – ყველა სახელმწიფოს, ქვეყანასა და ხალხს თავისი პრობლემები და უარყოფითი მხარეები აქვს, ასევეა იაპონიაც და იაპონელებიც, მაგრამ ჩემთვის ეს საუკეთესო ნიმუში და მაგალითია პრობლემების დაძლევის, პროგრესის, მარადიული თვითდახვეწის და კათარზისის. იაპონია ყოველდღიურად იცვლება, ყოველ დღე ახალი კაცობრიობა იბადება იაპონელების სახით, ასეც უწოდებენ თავად იაპონელები ახალგაზრდებს – ახალი კაცობრიობა, მაგრამ არ იცვლება ერთი მთავარი და არსებითი, გენერალური ხაზი იაპონელის არსებობისა, ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულება – პასუხისმგებლობითა და სიყვარულით სავსე, არ იცვლება მათი ენა ბუნებასთან და ყველა მოვლენის ტრაგიკულობამდე ღრმა ესთეტიზმი. ვამბობ იაპონიას და ვხედავ ბევრ მზეს და უამრავ მოხუცს, ზურგჩანთებითა და ალპინისტური ჯოხებით ხელში, ყველა ქალაქსა და სოფელში ფეხის ყოველ ნაბიჯზე რომ შეხვდები, საკუთარ ქვეყანაში მოგზაურებსა და ტურისტებს. ვხედავ უამრავ ორიგამს და პატარა ჰიროშიმელ გოგოს, სადაკო სასაკის, *„მშვიდობის ბავშვს, რომელმაც გვაჩუქა ქაღალდის წერო, სიმბოლო ჩვენი მისწრაფებისა*

მშვიდობისაკენ“. ვხედავ წარსულის, აწმყოსა და მომავლის საოცარ სინთეზსა და ჰარმონიას.

– როდის დაიწყე ტანკას წერა და რატომ აირჩიე ეს ჟანრი?

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს არც ტანკაა და არც ჰაიკუა, ეს არის მინიმალისტური ლექსი, მაგრამ ძალიან ახლოსაა ტანკასთან. ეს არის იაპონური კულტურის, პოეზიისა და ესთეტიკის გავლენით დაწერილი მინიმალისტური, ხუთსტრიქონიანი ლექსები და ამიტომაც სიმბოლურად ვუწოდე ტანკა.

ტანკას თხზვა ექვემდებარება ორ პრინციპს: ესეი (ჭარბი გრძნობა), იუგენი (იდუმალი სილამაზე). როცა პოეტს სურს ძველი ჰარმონიის დაბრუნება და როცა გრძნობს მისი დაბრუნების ერთიანობის შესუსტებას (ჩემს ლექსებშიც ასეა), მაშინ მიმართავს იუგენს. ყველაფერი იმანაც განაპირობა, რომ ამ ლექსებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, სოციალურ ქსელებში იაპონური ფსევდონიმით ვაქვეყნებდი. ეს იყო ჩემი მცდელობა, თავისუფალი ტანკის სტილსა და ფორმაში დამეწერა მინიმალისტური ლექსი, რომლის ავტორით დაინტერესდებოდა მკითხველი და გაუჭირდებოდა მისი ამოცნობა. ზუსტად არ მახსოვს, როდის მოვსინჯე კალამი ამ ტიპის ლექსებში, მაგრამ ინტენსიურად სწორედ იაპონიაში დავიწყე წერა, ერთგვარი დღიური ვაწარმოვე ასეთი ლექსებით.

– ალბათ, დამეთანხმები, რომ იაშიკავა ტაკუბოკუს შესანიშნავი სიტყვები, რომელიც თქვენს კრებულს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული, თავისთავად, გადმოსცემს დამოკიდებულებას ტანკას მიმართ, ანუ რატომ ირჩევს ავტორი ტანკას ჟანრში წერას – *„არსებობენ განსაკუთრებული წუთები, ისინი არ განმეორდებიან. მე არ მინდა მათ უქმად ჩაიარონ. ყველაზე კარგად მათი გამოსახვა შეიძლება ისეთ მოკლე ლექსში, როგორიც არის ტანკა. მე ვწერ ტანკას იმიტომ, რომ მიყვარს სიცოცხლე...“* ხომ არ დაამატებდი კიდევ რამეს, შენეულს?

სიკვდილისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და მისი გაშინაურება იაპონური ფილოსოფიისა და იაპონელი ხალხის ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი კვანძია. ვაჟას სიტყვების ცოცხალი სურათ-ხატია იაპონელი ადამიანი – *„შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა...“,* ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის დროს, ყოველ წამს ამ წუთისოფელში. ტანკაც ესაა – ყოველი წუთის აღბეჭდვა. ეს არის სულიერი ფოტო, ფოტო შენი შინაგანი დამოკიდებულებებისა, მაგრამ ტანკა ფოტოზე ღრმაა და მრავალგანზომილებიანი.

– თითოეულ ტანკას თავისი ისტორია აქვს, სულ რამდენიმე სიტყვაში დიდი სათქმელის ჩატევა ასეთი ლაზათითა და სიმსუბუქით მკითხველში ემოციების ნიაღვარს იწვევს და ფანტაზიის უკიდეგანო სივრცეს უტოვებს... ტანკას წაკითხვის შემდეგ მასზე კიდევ დიდხანს გიწევს ფიქრი, ავტორის სათქმელი რომ შეიცნო. მიამბე რამდენიმე შენეული ტანკას ისტორია, როდის, სად და რატომ დაიწერა ისინი?

ჩემი ტანკები ორ ადამიანს ეკუთვნის – მე, ირაკლი კაკაბაძესა და მე, იაკი კაბეს. ეს არის რეალური ადამიანისა და წარმოსახული ადამიანის ცხოვრება, შინაგანი განცდები და სამყაროსადმი ჩვენეული დამოკიდებულება. ყველა ლექსი მართლაც რაღაც ისტორიას უკავშირდება – პირადი ცხოვრებიდან, ფილმების ისტორიებიდან, სიზმრებიდან თუ ჩვენი ქვეყნის ყოფიდან. მაგალითად, ეს ტანკა ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობიდანაა:

სასაფლაოსთან,
სოფლის ბოლოში,
ლანდივით მოჩანს ჩამოშლილი
სკოლის შენობა,
ჭადრებისა და ნეკერჩხლების
ხეთა ჩეროში
მოხუცებულნი იგონებენ
ქალაქელ შვილებს...

ეს პირადი ცხოვრებაა, ირაკლი კაკაბაძის პირადი წარსული:

სუსტი,
მაგრამ ყველაფრის გამგე,
სახელმწიფო ბიუროკრატი,
სიგარით ხელში –
პოეტს ფულზე ელაპარაკა...

ეს კი იაკი კაბესია:

მაისი იყო, რაც უყვარდა
ჩემს შეყვარებულს,
ახლა კი მისი გადაშლილი
ნორჩი მკერდიდან,
ატამი ყვავის ნაგასაკის სასაფლაოზე...

ეს ტანკა კი, ორივეს ერთნაირად ეკუთვნის:

ამქვეყანაზე,
ამ უდიდეს მწუხარებაში,
ო, ალუბლის ხევ,
ხარ ერთადერთი
შვება სულისა...

– როგორც ვიცი, ტანკას კითხვას თავისი წესი აქვს. კრებულში ტანკები დანომრილია, აქვს თუ არა თანმიმდევრობით კითხვას მნიშვნელობა და რა თანმიმდევრობითაა დალაგებული?

კრებულზე მუშაობისას, უძველეს იაპონურ ტრადიციას მივბაძეთ, ძველი იაპონური პოეზიის ანთოლოგიების მსგავსად, 100 ლექსი შევიტანეთ კრებულში, თანმიმდევრობით დავაწყვეთ ისე, თითქოს ერთი ადამიანის ცხოვრებაა – ბავშვობიდან სიკვდილამდე.

– კრებულში იაპონური პოეზიის უდიდესი გავლენა იგრძნობა, ქართულია თუ იაპონური იაკი კაბეს პოეზია?

რთულია ამაზე პასუხი. ერთია – ეს არის იაპონური პოეზიის გავლენით და სიყვარულით დაწერილი ლექსები, მაგრამ ქართულ ენაზე და სავსე ქართული პრობლემებითა და სოციალური თემატიკით. მაგალითად, არასოდეს არ დაწერს იაპონელი:

ჩემს სამშობლოში,
სადაც ამდენი
ღვთისმსახური და პოეტია,
ჩალად არა ღირს
სიცოცხლე კაცის...

მაგრამ არც ქართველი ავტორის დაწერილს მგონია ჰგავდეს ეს ტანკა:

როცა ვსვამ საკეს,
ვუბრუნდები ფიქრებით წარსულს
და მაგონდება
სიღატაკისგან დაფლეთილი
დედის სხეული...

მაგრამ მე პოეზიის უნივერსალურობისა მწამს, არ ვიცი, ენის გარდა, რამდენად აქვს ნამდვილ პოეზიას განმასხვავებელი ნიშნები, რამდენად გაუგებარია რუსთაველი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ან რამდენად არ გვესმის ჩვენ ჰომეროსის, მაგრამ ეს ალბათ მხოლოდ მაღალ პოეზიას ეხება. ჩვენ კი, ჯერ კიდევ გრძელი, რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო გზა გვაქვს გასავლელი, რომ ჩვენი ლექსი ერთნაირად გასაგები და მშობლიური იყოს ჯერ ქართველისთვის და შემდეგ იაპონელისთვის, თუმცა *„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება...“*

– როგორც თავად მითხარი, ფსევდონიმი „იაკი კაბე“ ქალაქის ზღუდეს, ჯებირს ნიშნავს... რატომ „იაკი კაბე“?

ეს იყო ერთგვარი ექსპერიმენტი, ჩემი ხრიკი. ამ ლექსებს, თავდაპირველად, სოციალურ ქსელში ვაქვეყნებდი, სადაც ჩემ მიერ თარგმნილ ავტორებს მეტი გამოხმაურება და დადებითი შეფასება ახლდა ხოლმე, ვიდრე ჩემს ორიგინალურ ტექსტებს. ამ კეთილმა ნიღაბმა და ფსევდონიმმა გაამართლა მიზანი, არც არავინ ფარავდა აღტაცებას და ყოველ ლექსს მრავალი კომენტარიც ახლდა. ეს ქართული საზოგადოების ერთგვარი ტესტი იყო „შინაური მღვდლის“ ამბავი. იაკი კაბე შემოკლებული ვარიანტია ჩემი სახელისა და გვარის, თან შინაარსიც შეიძინა – იაპონურად ქალაქის ზღუდეს, კედელს, ქალაქის ჯებირს ნიშნავს. ვფიქრობ, ისეთი ფსევდონიმია, ინტერპრეტაციების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, ამ კრებულის პირველი ტანკა მართლა ჩემი ძალიან ღრმა ბავშვობის მოგონებას უკავშირდება, შეიძლება, ჩემი ძმის მსგავსად, ბევრს დაუჭერია ზაფხულის ღამით ციცინათელები, რომლებსაც შემდეგ ასანთის ყუთში ინახავდა, დილით კი ციცინათელების კვალიც არ იყო ყუთში. მე ამ ამბავს ძალიან ტრაგიკულად აღვიქვამდი და ჩამქრალ ციცინათელებს ვასაფლავებდი, ასე გადაივსებოდა ხოლმე ზაფხულობით ჩვენი სოფლის ეზო მკვდარი ჩიტებისა და ციცინათელების სასაფლაოებით:

სიოს საძებრად გარეთ გასულს,
ზაფხულის ღამეს,
ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამ,
პატარა ბიჭი გამახსენა, იაკი კაბე,
მომვლელი ციცინათელების
სასაფლაოსი...

– ხომ არ აპირებთ მომავალში ტანკების იაპონურ ან სხვა ენებზე თარგმნას?

სურვილი მაქვს, გარკვეული მცდელობებიც მქონდა, თუმცა ჯერ კრებულზე არ არის საუბარი, მხოლოდ რამდენიმე ლექსით დაინტერესდნენ მთარგმნელები. პირველი ტანკა ფრანგულად ითარგმნა და ვნახოთ, როგორი მომავალი ექნება ამ პატარა, მაგრამ ერთი პოეტის სიხარულით, ტკივილითა და განცდებით სავსე ლექსებს – ტანკა ჩვენი სიცოცხლესავით სავსე პატარაა, მაგრამ სიცოცხლესავით სავსე...

კონკურსი უფროსკლასელთათვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ აცხადებენ ერთობლივ კონკურსს თემაზე

„გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

პირველი ტური

ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ქუჩისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა.

გადმოგზავნის ვადაა **20 ნოემბერი**.

მეორე ტური

პირველი ტურის გამარჯვებულები, კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად, შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საარღრიცხვო ბარათს და წარადგენენ მას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სტატუსის მისანიჭებლად. საუკეთესო ნიმუშებს 20 დეკემბრამდე მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ოგიექტის“ სტატუსი.

საინტერესო წინადადებების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, კლასი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელით და წოდებით – „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი –
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება –
5. სკოლის დირექტორი –
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი) –
7. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

♦ რას გულისხმობს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ – 5-6 წინადადება.*

♦ მიუთითეთ ნიმუშის დანიშნულება.

♦ რა საშუალებით გამოიყენება ეს ნიმუში პრაქტიკაში – *საჭირო მასალა (ქვა, ძაფი, ხე, მატერია, მეტალი, საკვები პროდუქტი და ა.შ.), მონაწილეების რაოდენობა (დღესასწაული, საგალობელი, შელოცვა, ლოცვა, რიტუალი, წესი და ა.შ.), მონაწილეთა პროფესია (ხევისბერი, მძარგავი, ხურო, მზარეული და ა.შ.), შესაბამისი ამინდი, წელიწადის დრო, გარემო პირობები ან სხვა ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის შესასრულებლად.*

♦ რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. *დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის (5-6 წინადადება).*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

პედაგოგთა დასახმარებლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

წერილი მეოთხე

დასაწყისი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი მამამისის – მელიტონ ბარათაშვილის დახასიათებით უნდა დავიწყოთ. ეს არცაა გასაკვირი: მელიტონის მრისხანე ფიგურა ჯერ მფარველ ანგელოზად, მერე კი ავბედით დემონად დასტრიალებს თავს ცხოვრების ხანმოკლე გზაზე კოჭლობით მიმავალ მის პირმშოს. მედიდური, ოქროსეპოლეტებიანი მაიორი, განჯის ოლქის მმართველი და თბილისის თავადაზნაურთა მარშალი სანახავად იყო კარგი, მაგრამ შინაურთათვის გასაძლებად კი, რა მოგახსენოთ: „ჩვენი მელიტონი ისევ-ისეა, ანჩხლი, მჭყივანა, მყვირალა, თავის სახლის დამამწარებელი...“ – სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილიას (ორბელიანი 1936: 79). მელიტონის კარგი თვისებებიც კი – მომლხენობა და სტუმართმოყვარეობა – უკუღმართად შემოუბრუნდა მის ოჯახს და გაღატაკებამდე მიიყვანა.

მელიტონმა 23 წლისამ შეირთო ცოლი – ეფემია ზურაბის ასული ორბელიანი, დაი გრიგოლ ორბელიანისა. ეფემია იმხანად ყმაწვილი ქალი იყო, სულ 15 წლისა და იოლი დასაჯაბნი. ღვთისნიერ ეფემიას, ქანცგამოლეულს ერთმანეთს მიყოლებული მშობიარობებით, ბავშვების სახადით და შეჭირვებულ ოჯახზე ზრუნვით, ეტყობა მოწიფულობაშიც აღარ გასჩენია სურვილი გულგოროზ ქმართან ჯიბრისა.

ბარათაშვილებს თხუთმეტი შვილიდან ხუთი შერჩათ: პირმშო – ნიკოლოზი (ან ტატო, როგორც მას ბავშვობიდანვე ეძახდნენ), ეკატერინე, ნინო, ბარბარე და სოფიო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1817 წლის 27 დეკემბერს დაიბადა ძველი თბილისის იმ უბანში, მუხრანის ხიდის სიახლოვეს, რომელსაც ტრადიციულად „ორბელიანთა აული“ ერქვა. ჩვენთვის მემორიალური დაფით ცნობილ სახლში ჩახრუხაძის ქუჩაზე, ანჩისხატის ეკლესიასთან, ბარათაშვილები მხოლოდ 1841 წელს გადმოვიდნენ.

„ორბელიანთა აულში“ მდებარე სახლის უფროსი დიასახლისი იმხანად ხორეშან ბატონიშვილი გახლდათ – დედა ეფემიასი და შვილიშვილი ერეკლე მეორისა. ხორეშანივე ეხმარებოდა ეფემიას ტატოს აღზრდაში. კიდევ ერთი ქალის სითბო გამოჰყვა ბარათაშვილს ბავშვობიდან – მაია ზავარაშვილისა, გორიდან გადმოყვანილი გამდელის.

ხომ ვიცით, როგორია იმდროინდელი კეთილშობილი ოჯახიშვილის აღზრდა: წერა-კითხვა რვა წლისათვის, ლოცვანი ზეპირად, სულხან-საბას იგავები, ძილში ჩაყოლილი იავნანა....

ნიკოლოზის უმცროსი დის, ბარბარე ვეზირიშვილის თქმით: „ბარათაანთ სახლში ჰქონდათ სხვადასხვა საკრავები: დაირა, დიპლიპიტო, ჭიანური, თარი, სანთური. ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძალიან უყვარდა“.

შესაძლოა, ამიტომაც იყო, რომ შემდეგ, უკვე დავაუკაცებულს, ხშირად დაჰყავდა თან თბილისში ცნობილი თარზე დამკვრელი და მომღერალი – სახელად სათარა, ტომით თათარი. ანდა გავიხსენოთ „ღამე ყაბახზედ“, გავიხსენოთ, როგორი დაუფარავი შურით წერს ბარათაშვილი ამ ლექსში ყაფლან ორბელიანზე, რომელიც „სულდგმული აშიკობით, დაიღიღინებს გულის საკლავად და თანდათან ყელს მოიღერებს“.

ყაფლან ორბელიანი სული და გული იყო იმ საზოგადოებისა, რომელსაც – ყაბახი, დღისით ცხენოსანთა საასპარეზო მოედანი, საღამოობით – სასეირნო და სალაღობო ადგილად გადაექცია და რაგინდ კარგი მოლექსე ყოფილიყავი, რაგინდ მდიდარი სული გქონოდა, შენივე აწყობილი ჰანგით, შენივე მოწონებული ღამაზმანი, ისევ და ისევ ყაფლანს მიაპყრობდა ანთებულ მზერას... (უფრო დაწვრილებით იხ. გიორგი აბზიანიძე, „ყაფლან ორბელიანი – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი“, „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ. №1-2).

თანამედროვეთა თქმით, ყაფლანს მართლაც აუწყვია თარზე ბარათაშვილის „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „საყურე“.

კი გაუგებ კაცი გრიგოლ რობაქიძეს, რომელმაც თავისი ლექციიდან ბარათაშვილზე ცალკე ამონარიდად დასტამბა ჟურნალ „ფასკუნჯში“ 1910 წელს ბრწყინვალე მინიატიურა – „თარის ხმა“.

მაგრამ ჩვენ ცოტა გავუსწარით მოვლენებს და უკან დაბრუნება მოგვიწევს – გიმნაზიაში.

ათი წლის ტატო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს. ეს 1827 წელია. სამი წლის შემდეგ, სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, ხოლო იმავე წლის ბოლოს ბარათშვილი სახელმწიფო ხარჯზე მიაბარეს გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში, ოღონდ იმ პირობით, რომ ღამე სახლში გაეთია. ამას „ნახევარპანსიონერობა“ ერქვა.

ბარათაშვილის მეგობართა წრე (ქალებს თუ არ ჩავთვლით) სწორედ გიმნაზიიდანაა: მიხეილ თუმანიშვილი, დავით მაჩაბელი, კონსტანტინე მამაცაშვილი (ესენი ლიტერატორები იყვნენ), ლევან მელიქიშვილი (შემდგომში – მეფისნაცვლის მოადგილე და საერთოდ, კავკასიაში ძალზედ გავლენიანი სახელმწიფო მოხელე) დაბოლოს – ტატოს ბიძა და იმავდროულად მეგობარი ილიკო ორბელიანი.

კონსტანტინე მამაცაშვილი წერდა, რომ ტატო „უმეტესად განსხვავებული იყო თავის ამხანაგებში მხიარულის ხასიათით, სიმარდით, პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრივ ლეკურისა. ყველასაგან საყვარელი ამხანაგი“ (კ. მამაცაშვილი, „მოგონება ნ. ბარათაშვილზე“, გაზ. „დროება“, 1881, №206). სხვათა შორის, დაკოჭლების მიუხედავად (როგორც ვიცით, გიმნაზიის დამთავრებისას, ბარათაშვილი კიბიდან ჩამოვარდა და მარცხენა ფეხი გადაუტყდა წვივში), ტატოს ეს სიმარდე შერჩა. იმდენს გარბი-გამორბოდა, რომ ეს სამსახურშიც კი შეუშინავთ, ხოლო შაბათობით გიმნაზიის „ტანც-კლასში“ ნასწავლი ლეკურით უკვე კარგა ხნის შემდეგ გაუკვირვებია მარტყოფში „ჯვარობაზე“ შეკრებილი საზოგადოება.

გიმნაზიამ, როგორც ეტყობა, ბევრი რამ დაამჩნია ბარათაშვილის ნატურას. აქ ერთგვარი ლიტერატურული წრე იყო შექმნილი ჭაბუკ თანამოაზრეთა, „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, ჩახრუხაძეს, ალექანდრე ჭავჭავაძეს ვკითხულობდითო“, – იგონებდა ლუკა ისარლიშვილი, ბარათაშვილის გიმნაზიისდროინდელი ამხანაგი. კითხულობდნენ უთუოდ პანსიონშიც და ტატოსთანაც, სახლში, რადგან ერთი დიდი ღირსება მელიტონს უეჭველად ჰქონდა – წიგნები და წიგნიერი ადამიანები უყვარდა.

ბარათაშვილების ხშირი სტუმრები იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და ეგნატე იოსელიანი – მამა პლატონ იოსელიანისა, ერეკლეს კარის მოძღვარი, სიკვდილამდე ვერშეგუებული რუსთ მმართველობას. საფიქრებელია, რომ „ბედი ქართლისას“ პათეტიკური სტრიქონები სწორედ პლატონ იოსელიანის მონათხრობით იყო შთაგონებული.

ზემოხსენებული წრე გიმნაზიის მოწაფეებისა უშვებდა ხელნაწერ კრებულს, შემდეგ კი უკვე ხელნაწერ ჟურნალს (ოღონდ ახლა უკვე რუსულ ენაზე) – „Цветок Ти- лисской Гимназии“ – კალმის პირველი მოსინჯვა ბარათაშვილისა სწორედ ამ ხელნაწერ გამოცემებშია შემონახული. და აქვე, „შემოღამების...“ კითხვისას, ვგრძნობთ მისი გენიის პირველ გამონათებას.

ეს ტრადიცია – ლიტერატურული შეკრება-საღამოებისა, ხელნაწერი ალმანახების შედგენისა, გრძელდება გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოლომონ დოდაშვილის – ტატოს მასწავლებლისა და სულიერი მოძღვრის რედაქტორობით 1832 წელს გამოსული პირველი ლიტერატურული ჟურნალის („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“) შემდეგ, მთელი ოცი წლის განმავლობაში, ქართული საზოგადოებისათვის ამგვარი ჟურნალის, გაზეთისა თუ თეატრის არქონით გაჩენილი სიცარიელე სწორედ ხელნაწერმა კრებულებმა და ლიტერატურულ სალონებში შეკრება-საღამოებმა შეავსეს.

აქ, ამ სალონებში – ალექსანდრე ჭავჭავაძესთან თუ მანანა ორბელიანთან (ქართველ მადამ რეკამიესთან, როგორც იონა მეუნარგია ამბობდა) კითხულობს ბარათაშვილი თავის ლექსებს და აქედანვე მოდის მისი პირველი აღიარება.

ალბათ, ბედის დაცინვაა, რომ ამავე სალონებში, ბარათაშვილის პოეზიის თვალწარმტაცი ადრესატები, ქალური ცბიერებით ბოლომდე იმედს რომ არ უკარგავენ შეყვარებულ პოეტს, იდუმალად სხვას ეტრფიან, ცოლად მიჰყვებიან და მხოლოდ მერე, უკვე ხანდაზმულნი, სიმარტოვეში, სავარძელში მოკალათებულნი, თვალდანამულნი კითხულობენ მათდამი მიძღვნილ ლექსებს განჯის ხრიოკ მიწას მიბარებული მათი უიღბლო თაყვანისმცემლისა:

ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს...

(ბარათაშვილი 1945: 18)

ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ეს ლექსი, „საყურე“, 1839 წელსაა დაწერილი... ამ დროს ეკატერინე უკვე დანიშნულია სამეგრელოს მთავრის ძეზე – დავით დადიანზე. სხვათა შორის, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ნიკოლოზი თავისი წრის კიდევ ერთი ასულით მოიხიბლა – მარიამ ფალავანდიშვილით, ბარათაშვილ-დადიანების ცხოვრების გზა კიდევ ერთხელ გადაიკვეთა: ამჯერად დავითის უმცროსმა ძმამ – კონსტანტინემ იმარჯვა და ცოლად შეირთო ტატოს მოწონებული ღამაზმანი.

ცხოვრებისაგან ამ სილის გაწვნას ბარათაშვილი თითქოს უკვე შეჩვეული უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ გიმნაზისტი იყო, მამამისმა სასტიკად რომ გაროზგა დიდგვაროვან მოხელეებზე სატირული ლექსების დაწერისათვის. გიმნაზიის დამთავრებამაც ცივი წყალი გადაასხა მის რომანტიულად აფერადებულ გეგმებს: „აგერ წელიწად ნახევარია, – სწერს იგი ბიძამისს, გრიგოლ ორბელიანს, – რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში (ბარათაშვილი განაწესეს სასამართლო უწყებაში, რომელსაც ეწოდებოდა „Экспедици суда и расправы“ – ზ.ა.), წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность мо представл лась мне в радужных мечтани х და არც მერე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კამანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე, რომ ჩემებურად კიდეც ვხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უსიამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე აღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან ჯავრით ვაპირებ მასთან შებმას...“ (ბარათაშვილი 1945: 76).



ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი, ლევან ჭოღოშვილი

ეს წერილი 1837 წლითაა დათარიღებული. მელიტონი იმჟამინდელი სნეულებისაგან კი განიკურნა, მაგრამ სიდუხჭირეს ვეღარ დააღწია თავი და ოჯახის რჩენა აწ დიდწილად ნიკოლოზის მხრებს დააწვა.

როგორ ხასიათზე უნდა იყოს ცხოვრების ასეთ ხაფანგში მომწყვდეული, რომანტიკული ოცი წლის ჭაბუკი – სად წავიდეს, ვის შესჩივლოს, ვის კალთაში ჩარგოს თავი... სულიერი შეშფოთების ჟამს, როდესაც არ გინდა შენი ნაღველითა და ცრემლით სხვა დაამძიმო, ყველაზე კარგი და ერთგული მსმენელი ისევ დედა-ბუნება თუ იქნება – თბილისის შემოგარენი, მთაწმინდა, მტკვარი... სწორედ აქ მოდიოდა ტატო:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად.
აქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..

(ბარათაშვილი 1945: 12)

შესაძლოა, სასოწარკვეთის ჟამს, ამ სიტყვების წარმომთქმელს ისიც კი გაუფიქრებია, რომ ერთბაშად განთავისუფლებულიყო სულის სიმძიმისაგანაც და მხრებზე დაწოლილი ტვირთისაგანაც – ერთი ნაბიჯი გადაედგა და მტკვრისათვის მიეცა თავი... (ვის არ ჰქონია ასეთი წუთი!); მერე, თვითონვე შერცხვენია ამ სულმოკლეობის და თავისივე თავისთვის უთქვამს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

(ბარათაშვილი 1945: 13).

ეს თვითშეგონება ბარათაშვილს უთუოდ სჭირდება, რადგან გუმანი კარნახობს, რომ მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ყოველდღიურ, დამქანცავ, ხშირად შეუფერებელ „სოფლის სამსახურში“ (უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით – საარსებო სახსრის მოპოვებაში) წარიმართება. ამიტომაც ოცნებობს იგი თუნდაც პატარა რენტაზე, იმ საარსებო წყაროზე, იმ მატერიალურ დამოუკიდებლობაზე, რომელიც პიროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთი მთავარი საწინდარია.

შემდგომში მისწერს კიდეც ყოველივე ამის თაობაზე ბიძამისს, ზაქარია ორბელიანს: „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, იმწამსვე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში“ (ბარათაშვილი 1945: 86).

ზაზა აბზიანიძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პედაგოგთა დასახმარებლად

სიტუაციური ამოცანები და თეორიული მასალა

გთავაზობთ სიტუაციურ ამოცანებს, რომელიც დაეხმარება მოქმედ და დამწყებ მასწავლებლებს პროფესიული განათლების ამაღლებასა და უნარ-ჩვევების დაუფლებაში, მოსწავლეებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ეფექტურ აგებაში, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაში.

დავალება 1

მასწავლებელმა გადაწყვიტა მომავალ გაკვეთილზე კლასში ჩაატაროს ჯგუფური მუშაობა. დაასახელეთ რომელი პუნქტებისგან უნდა შედგებოდეს მასწავლებლის სტრატეგია, რომელიც მან უნდა შეიმუშავოს.

სავარაუდო პასუხები:

1. როგორ გაყოს ჯგუფებად;
2. სამუშაოს განაწილება;
3. დავალებისა და მიზნების ახსნა;
4. დაკვირვება თუ როგორ მუშაობენ, დახმარებას ხომ არ საჭიროებენ;
5. მუშაობის შედეგების შეჯამება, ურთიერთთანამშრომლობის შეფასება.

დავალება 2

დამწყებმა მასწავლებელმა მიმართა გამოცდილ მასწავლებელს ასწავლოს, როგორ გააკეთოს გამოხმაურება [უკუკავშირი] და როგორი უნდა იყოს ის.

სავარაუდო პასუხები:

♦ ზუსტი და პერსონალური;
♦ ლაკონური;
♦ გულწრფელი;
♦ იწყებოდეს პოზიტიურით;
♦ სთავაზობდეს გაუმჯობესების გზებს (არ უნდა გაკეთდეს აქცენტი იმაზე, რა იყო არასწორი, რა არ უნდა გაკეთებულიყო და ა.შ.);
♦ დამთავრდეს ისევ პოზიტიურით.

დავალება 3

დირექტორის მოადგილემ, როცა ლიას გაკვეთილი გააანალიზა, აღნიშნა, რომ მასწავლებელმა მოახერხა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა. დაფიქრდით და აღწერეთ ლია მასწავლებლის მიერ შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო.

სავარაუდო პასუხები:

1. გაკვეთილი იყო მიზანმიმართული (მოსწავლეებმა იცოდნენ რას აკეთებდნენ და რისთვის);
2. საკლასო სივრცე მაქსიმალურად იქნა გამოყენებული;
3. მოსწავლისა და მასწავლებლის დრო მაქსიმალურად იყო გამოყენებული;
4. სწავლებისა და სწავლისათვის განკუთვნილი მასალები შემოქმედებითად გამოიყენეს;
5. მოსწავლეებს უსმენდნენ და მათი აზრი აინტერესებდათ;
6. იყო ნდობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის;
7. გაკვეთილი მიმდინარეობდა თანამშრომლობითი ურთიერთობებით.

P.S. ზემოთ აღნიშნული პასუხები შეესაბამება ასევე შემდეგ კითხვას – როგორ შექმნიდით მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის სასურველ ატმოსფეროს?

დავალება 4

არსებობს: ა) ავტორიტარი, ბ) მეგობარი, გ) მკვლევარი, დ) თანამშრომელი მასწავლებლის ტიპი.

ჩამოთვლილთაგან, რომელი მასწავლებლის გაკვეთილი ან სწავლება იქნება უფრო ეფექტური.

ა); ბ); გ); დ); ა)-ბ); ბ)-დ); გ)-დ).

პასუხი:

გ)-დ)

დავალება 5

დაასახელეთ 3 რამ, რაც მოსწავლეს ესაჭიროება ცოდნის ეფექტურად ასაგებად.

სავარაუდო პასუხები:

♦ არსებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის აგება;
♦ რწმენა, რომ შეძლებს;
♦ სწავლის სტრატეგიების მომარჯვება;
♦ აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

დავალება 6

მასწავლებელი ასწორებს მოსწავლეთა ნაშრომებს. დაასახელეთ 3 რამ, რაც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული ნაშრომის გასწორებისას და ანალიზისას.

სავარაუდო პასუხები:

1. ყურადღება უნდა გაამახვილოს ნაშრომის პოზიტიურ მხარეზე;
2. მოსწავლესთან ერთად გაარკვიოს დაშვებული შეცდომების გამომწვევი მიზეზები და დაეხმაროს მას მათ გაანალიზებაში;
3. თანაუგრძნოს მოსწავლეს და გაამხნევოს ის.

დავალება 7

როდის სწავლობენ მოსწავლეები უკეთ? დაასახელეთ 5 პირობა.

სავარაუდო პასუხები:

♦ როცა მათი ინტერესებია გათვალისწინებული;
♦ მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროცესში;
♦ თვითონ აფასებენ სწავლების პროცესს;
♦ სკოლაში მიღებულ ცოდნასა და სკოლის გარეთ მიღებულ გამოცდილებას უკავშირებენ ერთმანეთს;
♦ ადგენენ კავშირს თემებს, საგნებს, მოვლენებს შორის;
♦ მასწავლებელი და მოსწავლეები თანამშრომლობენ.

დავალება 8

როდის იზრდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში?

სავარაუდო პასუხები:

მოსწავლეთა ჩართულობა იზრდება, როცა:
1. ჯგუფურად მუშაობენ;
2. დავალებები მათი ინტერესების გათვალისწინებითაა შექმნილი;
3. მასწავლებელთან ერთად ადგენენ შეფასების კრიტერიუმებსა და ცხრილებს;
4. გარემო პოზიტიურია;
5. მასწავლებელი ახერხებს მთელი გაკვეთილის მანძილზე მათ მოტივირებას.

დავალება 9

1. არავითარი არჩევანის უფლება, მოსწავლემ უნდა აკეთოს ის, რაც სურს მასწავლებელს;
2. სრული თავისუფლება – მოსწავლემ აკეთოს ის, რაც თვითონ სურს.
3. მოსწავლეს – არჩევანის უფლება;

შეუსაბამეთ აღზრდის სტილი.

სავარაუდო პასუხები:

1) ავტორიტარული;
2) ქაოსური;
3) დემოკრატიული.

დავალება 10

რომელი აღზრდის სტილი დაგვეხმარება აღვზარდოთ თავისუფალი პიროვნება და რატომ?

სავარაუდო პასუხები:

♦ დემოკრატიული, რადგან არჩევანის გარეშე პიროვნება ვერ იქნება თავისუფალი;
♦ თუ სკოლაში ისწავლის არჩევანის გაკეთებას, ეს ცხოვრებაშიც გამოადგება;
♦ სწორი არჩევანი მოსწავლეებს განუვითარებს აზროვნებას, დაეხმარება რეალური გადაწყვეტილების მიღებაში.

დავალება 11

მასწავლებელი ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს: შეცდომებს უსვამს წითელ ხაზს. ნამუშევრებს ურიგებს მოსწავლეებს, აქებს საუკეთესოთა ავტორებს, კიცხავს „წარუმატებელ“ მოსწავლეებს.

თქვენ გევალებათ ამ მასწავლებელს მისცეთ რჩევა და რეკომენდაცია.

სავარაუდო პასუხები:

ვურჩევდი:
♦ ორიენტაცია გააკეთოს არა მხოლოდ წარჩინებულ მოსწავლეებზე;
♦ მოსწავლეებთან ერთად გამოიკვლიოს შეცდომები და გაანალიზოს ისინი;
♦ დასახოს შეცდომების (პრობლემების) აღმოფხვრის გზები – მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა გააკეთოს, რომ იგივე შეცდომა აღარ დაუშვას;
♦ ნამუშევარში მხოლოდ ნაკლს ნუ ეძებს, ეძებოს და აღნიშნოს პოზიტიური – რა იყო კარგი და რა შეიძლება უკეთ გაკეთდეს (და არა შეიძლებოდა გაკეთებულიყო);
♦ გამოხატოს მზადყოფნა დაეხმაროს მოსწავლეს.

დავალება 12

ზემოაღნიშნულ მაგალითში მოცემულ მასწავლებლის სტრატეგიას (გაასწოროს მკაცრად, აღმოაჩინოს შეცდომები, შეაქოს წარმატებული მოსწავლე და გაკიცხოს წარუმატებელი) რა უარყოფითი მხარე გააჩნია?

სავარაუდო პასუხები:

1. წარუმატებელ მოსწავლეს არ ექნება სწავლის სტიმული და გაუღვივდება სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება;
2. მოსწავლე ვერ გაიგებს რა შეცდომები აქვს, რატომ დაუშვა, როგორ აღმოფხვრას ისინი, მასწავლებელი კი მას არ აძლევს მითითებებს, არ იყენებს განმავითარებელ შეფასებას;
3. ასეთ მოსწავლეს უვითარდება არასრულფასოვნების გრძნობა – ვერ გავაკეთებ!
4. მას არა ჰყავს დამხმარე მასწავლებლის სახით.

დავალება 13

მასწავლებელი მოსწავლეთა ნაშრომებში პოზიტიურ მხარეს უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე ნეგატიურს, არკვევს დაშვებული შეცდომების გამომწვევ მიზეზებს, განიხილავს თითოეული მოსწავლის ნაშრომს და მათთან ერთად აანალიზებს შეცდომებს, თანაუგრძნობს მათ და მზადაა დაეხმაროს სიძნელეების გადალახვაში.

რა დადებითი მხარე აქვს ამ სტრატეგიას? დაასახელეთ 3 პირობა.

სავარაუდო პასუხები:

1. ბავშვს ჰყავს დამხმარე, ის მარტო არაა, ეს კი აძლევს სტიმულს;
2. იცის მიზეზი შეცდომების და მათ აღმოფხვრაზე იზრუნებს;
3. სტიმულს აძლევს ის, რომ მის ნაშრომში მასწავლებელმა პოზიტიური დაინახა, მოიწონა და აძლევს რწმენას, რომ შეძლებს უკეთ გააკეთოს, ისწავლოს.

დავალება 14

ვინ იცის ზეპირად კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან“ ციტატა „ხელოვნებაა თავად უკვდავება?“ – ასეთი კითხვა დასვა მასწავლებელმა XI[1] კლასში, ხოლო XI[2] კლასში იკითხა: რა გრძნობებს აღძრავს თქვენში ეს ციტატა, როგორ გესმით ის?

რომელ კლასში იქნებოდა აქტიურობა მეტი და რატომ?

სავარაუდო პასუხები:

XI[1]-ში მიცემული დავალება ამოწმებდა, რამდენად ზუსტად იცოდნენ ციტატა მოსწავლეებმა. ზეპირად ის უფრო მცირე ნაწილს ეცოდინებოდა, აქ აქტიურობა ნაკლები იქნებოდა. XI[2]-ში ბავშვებს მოეთხოვებოდათ საკუთარი აზრის, პოზიციის დაფიქსირება, მსჯელობა. ეს მათთვის უფრო საინტერესო იქნებოდა, ამიტომ მეტად იაქტიურებდნენ.

დავალება 14

რომელ წელს დაიბადა პუშკინი? სად სწავლობდა? და ა.შ. ამ კითხვებით სჯობს დაიწყოს მასწავლებელმა გაკვეთილი, თუ შეკითხვით – რა იცით პუშკინის შესახებ? პასუხი დაასაბუთეთ.

სავარაუდო პასუხები:

I შემთხვევაში შეიძლება მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი არ იცოდეს მოსწავლემ და, საერთოდ, გამოეთიშოს გაკვეთილს;

II შემთხვევაში მას ექნება საშუალება, თქვას ის, რაც იცის, ეს ახარებს და სხვებსაც უსმენს, რას პასუხობენ.

ამგვარად, მოსწავლეთა აქტიურობას გაზრდის მე-2 შემთხვევა.

დავალება 15

ჩამოწერეთ გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, თვითანალიზის გაკეთების დროს, რა კითხვებს დაუსვამთ თქვენს თავს.

სავარაუდო პასუხები:

♦ გულისყურით ვუსმენდი თუ არა მოსწავლეებს (აქტიური მსმენელი);
♦ ვაცლიდი თუ არა მათ აზრის ბოლომდე გამოთქმას;
♦ ნაწილობრივ მე ხომ არ ვცემდი პასუხებს დასმულ კითხვებს;
♦ ვაკონტროლებდი თუ არა საკუთარ ემოციებს;
♦ ჩემი აქტიურობა ხომ არ აჭარბებდა მოსწავლეებისას;
♦ მოაქვს თუ არა შედეგი ჩემს მუდმივ შეგონებებს;
♦ შედეგიანი იყო თუ არა ჩემი სტრატეგიები;
♦ შევძელი თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

დავალება 16

სწავლების გაუმჯობესებაში მასწავლებელს ეხმარება შესრულებული სამუშაოს ანალიზი. მოკლედ აღწერეთ (ხუთი ვარაუდი): როგორ გააანალიზებთ თქვენს ერთ-ერთ გაკვეთილს, რა კითხვებს დაუსვამდით საკუთარ თავს?

სავარაუდო პასუხები:

♦ რა დონეზე შევძელი კლასთან ერთად სასწავლო მიზნის მიღწევა: სრულად, ნაწილობრივ, ვერ შევძელი;
♦ რომელი აქტივობა იყო ეფექტური და დამეხმარა მოსწავლეთა ჩართულობაში, მიზნის მიღწევაში;
♦ როგორ იმუშავა სასწავლო რესურსებმა;
♦ რამდენი (ვინ?) მოსწავლის შედეგით ვარ კმაყოფილი;
♦ რამდენს (ვის?) სჭირდება დახმარება;
♦ რა არის საჭირო გაკვეთილზე არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

დავალება 17

რა თვისებებს იძენენ მოსწავლეები, რომელთა მასწავლებლები იყენებენ აქტიური მოსმენის მეთოდს?

სავარაუდო პასუხები:

მოსწავლეები გამოირჩევიან კარგი ქცევით, კომუნიკაბელურობითა და საკუთარი თავის რწმენით

აქტიური მოსმენა

აქტიური მოსმენის ელემენტებია:

♦ ***შეჩერდი;***
♦ ***მოუსმინე;***
♦ ***უპასუხე;***
♦ ***შეხედე;***
♦ ***გაიფიქრე, რაც ბავშვმა უკვე თქვა;***
♦ ***დამატებითი კითხვა მიეცი სწორი გეზის მისაცემად.***

დავალება 18

ერეკლემ უარი განაცხადა ჯგუფში მუშაობაზე. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი?

სავარაუდო პასუხი:

მასწავლებელმა ჯგუფს უნდა მისცეს ისეთი დავალება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ერეკლეს ინტერესები (მუსიკა, სპორტი და სხვ.) და ერეკლეს უთხრას: კარგი, რადგან შენ არ გინდა ჯგუფში მუშაობა, ჩანს გაქვს მიზეზი, მაგრამ უნდა დამეხმარო და გასწიო ექსპერტობა (ან კონსულტანტობა), ამას შენსავით ვერავინ მოახერხებს ამ დავალების შესრულების დროს.

დავალება 19

მარინა გამოცდილი მასწავლებელია, მან ალღო აუღო სიახლეებს: აძლევს საინტერესო დავალებებს მოსწავლეებს, ახალისებს, ატარებს წყვილურ და ჯგუფურ მუშაობებს, აძლევს კვლევით სამუშაოს, გაკვეთილი მუდამ დაგეგმილი აქვს, იყენებს დიფერენციაციის მეთოდს, ნახევარ ქულას სტიმულის მიზნით ყოველთვის უმატებს მოსწავლეს, დისციპლინა კარგი აქვს. მიუხედავად ამისა საგნის სწავლის გაუმჯობესება ვერა და ვერ შეძლო.

დაასახელეთ, რას დაამატებდით ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს, რას არ აკეთებს მარინა გაკვეთილზე, რაც ხელს უშლის სწავლის გაუმჯობესებას.

პასუხი:

მარინა არ აკეთებს შესრულებული სამუშაოს ანალიზს, განმავითარებელ შეფასებას, ამის გარეშე კი წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

ქეთევან კუბლაშვილი
პედაგოგი, მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში

წინა წერილებში მოგაწოდეთ ინფორმაცია და მოგეცით რჩევები ისტორიის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით, ასევე წარმოგიდგინეთ ხუთი ტიპის დავალების ტესტების ნიმუშები პასუხებით. მეოთხე წერილს დავიწყებთ სასერტიფიკაციო გამოცდის **VI ტიპის დავალების** ნიმუშებით – **წყაროს ანალიზით.** ეს დავალება საკმაოდ ბევრ ქულას აძლევს აპლიკანტს; ამიტომ ამ წერილის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ტესტების ნიმუშებს დაეთმობა. თავიდანვე უნდა გირჩიოთ, რომ გამოცდის ჩაბარების დროს ძალიან ყურადღებით წაიკითხეთ წარმოდგენილი წყარო, რადგან ნებისმიერ, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიტყვას, ანალიზის დროს შესაძლოა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ქვემოთ წარმოგიდგენთ ორ დავალებას შესაბამისი კითხვებით: ერთს საქართველოს ისტორიიდან, ერთს კი მსოფლიოდან. მოცემულ ისტორიულ წყაროებს კითხვები თან ახლავს. ეს კითხვები შეეხება: ისტორიული წყაროს გაგებას და მისგან საჭირო ინფორმაციის გამოყოფას, ისტორიულ წყაროში მოთხრობილი კონკრეტული ამბის ისტორიულ კონტექსტში ჩასმას, მის გააზრებას. დაკვირვებით წაიკითხეთ ეს წყაროები და შეეცადეთ სწორად გასცეთ პასუხი იქ დასმულ კითხვებს.

წყარო 1.

„მბრძანებლობის დასაწყისში და შემდეგ, თავისი ბედნიერი ხელმწიფობის დღეებშიც, ქვეყნის დამამშვენებელმა შაჰმა ოთხჯერ პირადად დაძრა ლაშქარი საქართველოსკენ და კიდევ რამდენჯერმე გაგზავნა იქით ჯარი... ეს ამბავი მოკლედ ასე ითქმის: რადგან შირვანისა და შაქის ვილაიეთები საქართველოსთან ახლოს მდებარეობს, ზოგჯერ, როცა მათი მმართველები დასუსტებულები და დამოუკიდებლობადაკარგულები იყვნენ, ურწმუნო ქართველები მათ განაპირა რაიონებს ლაშქრით შეესეოდნენ და მუსლიმანებს აწუხებდნენ. იქაური მმართველები წინააღმდეგობას შეძლებისდაგვარად უწევდნენ და ორივე მხარეს შორის მტრობა და უთანხმოება ჩამოვარდებოდა ხოლმე. იმ დროს, როდესაც შაჰის მარადიული ბედის საზეიმო მუსიკის ხმები ხმამაღლა გაისმა იმ ვილაიეთში, ლევან-ხან ქართველმა შაჰის მოწყალე ჩრდილს შემწეობა სთხოვა, სათანადო ერთგულება და მორჩილება გამოიჩინა და ხარაჯის გადახდა იკისრა. საქართველოს მმართველების რიგებიდან ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომაც თავისი თავი მორჩილად ჩათვალა – ყოველთვის მბრძანებლის კარის მსახურებას ეწეოდა და იმ დიადი ბატონის შემწეობის მთხოვნელი იყო. მაგრამ ქართლის მეფე ლუარსაბმა, იმერეთის მეფე ბაგრატმა და დადიანმა მტრობა დაიწყეს, სათანადო მორჩილება არ გამოიჩინეს და წმინდა შაჰის ერთგული და მორჩილი ზემოთ ხსენებული ქაიხოსროს ოლქის რბევა დაიწყეს. მათ წინააღმდეგ რამდენჯერმე გაიგზავნა ძლევამოსილი ლაშქარი. იმერეთის და სამეგრელოს მმართველები დაისაჯნენ და ამის შემდეგ წესიერად იქცეოდნენ. ლუარსაბი კი ხანდახან წრეს გადადიოდა და ისლამის ქვეყნის საზღვრებს ესხმოდა თავს. ამიტომ მბრძანებლის მაღალმა გონებამ საჭიროდ მიიჩნია ქართველ მეამბოხეთა დასჯა... საქართველოს მეფეთა შორის ლუარსაბი გამოირჩეოდა მამაცობითა და გულადობით. ამიტომ ის მუდამ იჩენდა ურჩობას და ამაყობას და თავს არ უყრიდა მორჩილებისა და მოხარკეობის უღელში.“

კითხვები

1. ვინ არის წყაროში დასახელებული სპარსეთის შაჰი?

2. დასაბუთეთ თქვენი პასუხი. როგორ აუხსნით მოსწავლეს ვიზეა საუბარი?

3. სადაურია წყაროს ავტორი?

4. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი

5. ვინაა იმერეთის მეფე ბაგრატი?

6. ვინაა ქართლის მეფე ლუარსაბი?

7. ვინაა ლევან-ხან ქართველი?

8. საქართველოს რომელი კუთხის მმართველია ქაიხოსრო?

9. რა განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ავტორი ლუარსაბის შესახებ?

10. რა მოტივით ხსნის ავტორი ირანელთა საქართველოში ლაშქრობას?

წყარო 2.

„I. ზოგადი მიზნები: რუსეთის არმია, რომელიც დასავლეთ რუსეთშია თავმოყრილი, უნდა განადგურდეს გაბედული ოპერაციებით, კერძოდ: სატანკო ნაწილები სოლისებურად ღრმად უნდა შეიჭრან მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. არ უნდა იქნეს დაშვებული ბრძოლისუნარიანი ჯარების უკან, რუსული ტერიტორიის ვრცელი სივრცეებისაკენ დახევა. რუსულ საჰაერო ძალებს არ უნდა მიეცეს გერმანიის ტერიტორიებზე თავდასხმის საშუალება. ოპერაციის საბოლოო მიზანია აზიური რუსეთის საწინააღმდეგო დამცველი ბარიერის შექმნა მდინარე ვოლგა-არხანგელსკის ხაზზე.

II. სავარუდო მოკავშირეები – მათი ამოცანები: 1. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ოპერაციების ფლანგებზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ რუმინეთი და ფინეთი. 2. გერმანიის ჯარებთან თანამშრომლობის შემთხვევაში რუმინეთს დაეკისრება მის პირისპირ განლაგებული მოწინააღმდეგის ძალების შებოჭვა. მოგვიანებით ის დახმარებას აღმოგვიჩენს ზურგის რაიონებში. 3. ფინეთმა უნდა დაიცვას ნორვეგიიდან წამოსული გერმანული ჯგუფის – „ჩრდილოეთის“ შეტევა... 4. გერმანული ჯგუფის „ჩრდილოეთის“ შეტევის დროს უნდა ვიქონიოთ შვედეთის რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გამოყენების იმედი.“

კითხვები

1. წყაროში რა დოკუმენტია მოტანილი?

2. დასაბუთეთ თქვენი პასუხი.

3. ვინ შეადგინა ეს დოკუმენტი და რატომ?

4. თქვენი აზრით, რატომ იმედოვნებენ დოკუმენტის შემქმნელები, რომ ფინეთი მათ მხარს დაუჭერდა?

5. რა იყო ფინეთის ძირითადი ამოცანა?

6. თქვენი აზრით, რატომ იმედოვნებენ დოკუმენტის შემქმნელები, რომ რუმინეთი მათ მხარს დაუჭერდა?

7. რა იყო რუმინეთის ძირითადი ამოცანა?

8. რა იყო შვედეთის ძირითადი ამოცანა?

9. რა იყო სატანკო ნაწილების ძირითადი ამოცანა?

10. რაში მდგომარეობდა შემტევი მხარის პირველი ეტაპის ძირითადი ამოცანა?

წლევანდელ გამოცდაზე მოტანილი დავალების **VII ტიპს**, რუკის ანალიზს შევეხები მომდევნო მე-5 წერილში. ამჯერად წარმოგიდგენთ **დავალების VIII ტიპის – მოსწავლის ნაშრომის შეფასება,** ნიმუშს. ამ დავალების შესასრულებლად გეძლევათ: 1. მოსწავლისთვის გასაანალიზებლად მიცემული წყარო/ტექსტი და კითხვები; 2. მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები; 3. შეფასების სქემა, რომელიც უნდა გამოიყენოთ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების შესაფასებლად. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

ამბავი თბილისის შესახებ

„მდინარე მტკვრის ნაპირზე, ციცაბო კლდეზე ერთმანეთის პირდაპირ ორი ციხეა, რომელსაც ბითლის-თბილისს უწოდებენ. მათ შორის მდინარე მტკვარი მიედინება. რადგანაც ერთი კლდიდან მეორე კლდეზე დიდი ხიდია გადებული, ერთი ციხიდან მეორეზე ადვილად გადაისვლება. დიდი ციხე მდინარე მტკვრის სამხრეთითაა და პატარა ციხე – ჩრდილოეთით... ამ მდინარის პირას, ციცაბო კლდეზე დიდი ციხის გარშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯია, მაგრამ ძველი ნაშენია. კედლის სიმაღლე სამოცი წყრთაა, სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური აქვს. ერთი ხიდიანი კარი აქვს. თხრილი არა აქვს. მდინარე მტკვარს ერთი, წყლისთვის განკუთვნილი კოშკი გადაჰყურებს. ალყის დროს იქიდან იკლავენ წყურვილს. გალავნის შიგნით ექვსასი ბანიანი სახლია. ხანის სასახლე ამ ციხეშია, ჯამე, ქარვასლა და მცირე ბაზარი აქვს. პატარა ციხე ერთ ციცაბო გორაკზე დგას. ხიდის თავში პატარა კარია. შიდა ციხეში სამასი სახლი და ჯამეა, მაგრამ ბაზარი და სხვა რამ ნაგებობა არაა. პატარა ციხე დიდ ზღუდეზე მტკიცეა. კოშკებს სამი ათასი მეციხოვნე იცავს... აქ მოჰყავთ ხორბალი, წმინდა და თეთრი თბილისური პური, თეთრი და წითელი ატამი, ქებულია მისი ბამბა და ანგორის მატყლი. მდინარე მტკვრის წყალი ძალზე გემრიელია, რადგანაც დაბალ დონეზე მიედინება, მაღალ ადგილებს ვერ რწყავს. მისი აბანოები ქებულია, რადგან ქალაქში ცხელი წყალია. დიდი ციხის აღმოსავლეთით ბუნებრივი ცხელი წყალია. წყალი ისეთი ცხელია, რომ შიგ ცხვრის თავფეხი მოიხარშება. სასარგებლო ცხელი წყალია.“

მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით მოსწავლეს დაუსვეს შემდეგი კითხვები:

1. როგორ უკავშირდებოდა თბილისის ორი ციხე ერთმანეთს?

2. დაასახელეთ ოთხი ნაგებობა, რომელიც განთავსებულია ციხეების შიგნით?

3. ჩამოთვალეთ მიწათმოქმედების დარგები, რომლებიც განვითარებულია თბილისის შემოგარენში

4. მიწათმოქმედების გარდა მეურნეობის რომელი დარგი იყო განვითარებული?

5. რას ასახელებს წყაროს ავტორი თბილისის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად?

6. წყაროზე დაკვირვებით დაასახელეთ მინიმუმ ოთხი პროფესიის ადამიანი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა?

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:

1. მტკვარზე გადებული ხიდით
3. ბანიანი სახლები, ქარვასლა და მცირე ბაზარი
3. მემინდვრეობა (მოყავთ ხორბალი) და მებაღეობა (ატამი)
4. მეცხვარეობა (მესაქონლეობა)
5. ცხელ აბანოებს
6. მეომარი, მოლა, ვაჭარი, ხაბაზი

სწორი პასუხები:

VI – ისტორიული წყაროს ანალიზი. ***წყარო 1.***

1 – შაჰ თამაზ I (1524-1576); 2 – წყაროში იხსენიებიან ქართველი მმართველები: ქართლის მეფე ლუარსაბი (ანუ ლუარსაბ I), ლევანხან ქართველი (კახეთის მეფე ლევანი), იმერეთის მეფე ბაგრატი (ანუ ბაგრატ III) და სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო. ისინი ყველა XVI საუკუნეში ერთად მოღვაწეობდნენ და შაჰ თამაზის თანამედროვეები იყვნენ, რომელმაც 4-ჯერ ილაშქრა საქართველოში; 3 – სპარსელი; 4 – ის არის მუსლიმი (ქართველებს ურწმუნოებს უწოდებს) და სპარსეთის შაჰს აღმატებით ხარისხში მოიხსენიებს (ქვეყნის დამამშვენებელი შაჰი). ასე კი, ამ დროის სხვა ეროვნების მუსლიმი ავტორი, ოსმალო თავის მტერს არაფრით არ მოიხსენიებდა; 5 – ბაგრატ III (1510-1565 წწ.); 6 – ლუარსაბ I (1527-1556 წწ.); 7 – ლევან კახთა მეფე (1518-1574 წწ.); 8 – სამცხის ათაბაგი; 9 – ავტორი ხაზს უსვამს მის სიმამაცეს და გულადობას, თუმცა უწოდებს ურჩს და ამაყს; 10 – ქართველი მმართველები ხშირად თავს ესხმოდნენ საქართველოს მეზობელ მუსლიმურ რეგიონებს – შირვანს და შაქს, ასევე შაჰის ერთგულ სამცხის ათაბაგს, ქაიხოსროს.

წყარო 2.

1 – გეგმა „ბარბაროსა“; 2 – იხსენიება რუსეთზე (სსრკ-ზე) თავდასხმა სატანკო ნაწილებით და მისი ავიაციის განეიტრალება. ასევე ფინეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ყველაფერი მიანიშნებს II მსოფლიო ომის I ეტაპზე (I მსოფლიო ომი მოტანილი მონაცემებით გამორიცხულია); 3 – ა. ჰიტლერის დავალებით საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა შეიმუშავა ნაცისტური გერმანიის გენერალურმა შტაბმა; 4 – ამ ომის წინ ფინეთმა საბჭოთა კავშირთან ომის შედეგად დაკარგა ტერიტორიები; 5 – ფინეთმა უნდა დაიცვას ნორვეგიიდან წამოსული გერმანული ჯგუფის – „ჩრდილოეთის“ შეტევა; 6 – ამ ომის წინ საბჭოთა კავშირმა რუმინეთს წაართვა ბესარაბია; 7 – რუმინეთს დაეკისრა მის პირისპირ განლაგებული მოწინააღმდეგის ძალების შებოჭვა და დახმარების აღმოჩენა ზურგის რაიონებში; 8 – გერმანული ჯგუფის „ჩრდილოეთის“ შეტევის დროს გერმანელებს ჰქონდათ შვედეთის რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გამოყენების იმედი; 9 – მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე რაც შეიძლება ღრმად შეჭრა, რათა არ დაეშვათ მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანი ჯარების უკან, რუსული ტერიტორიის ვრცელი სივრცეებისაკენ დახევა; 10 – ოპერაციის საბოლოო მიზანი იყო მდინარე ვოლგა-არხანგელსკის ხაზზე აზიური რუსეთის საწინააღმდეგო დამცველი ბარიერის შექმნა.

VIII – მოსწავლის ნაშრომის შეფასება

1. მტკვარზე გადებული ხიდით (1 ქულა).
2. ბანიანი სახლები, ქარვასლა და მცირე ბაზარი (3 ქულა). აკლია ჯამე.
3. მემინდვრეობა (მოყავთ ხორბალი) და მებაღეობა (ატამი) (2 ქულა).
4. მესაქონლეობა (მეცხვარეობა) (1 ქულა). აკლია ხელოსნობა.
5. ცხელ აბანოებს (1 ქულა). სულ 1 ქულა.
6. მეომარი, მოლა, ვაჭარი, ხაბაზი, (4 ქულა).

გესიკ ლორთქიფანიძე
ისტორიის დოქტორი,
თბილისის №20 საჯარო სკოლის და
სკოლა „ანი-ზეტის“ ისტორიის მასწავლებელი,
ილიას უნივერსიტეტის ლექტორი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ტრენერი

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

სასკოლო ღონისძიება

შემოდგომის ერთი დაუვიწყარი დღე

ნოემბრის თბილმა და მზიანმა დღემ, წმინდა მთამ, საიდანაც ხელისგულივით ჩანს ჩვენი დედაქალაქი, იქ დავანებულმა სულებმა გაესაოცარი განწყობითა და შთაბეჭდილებით აავსეს პატარების გულები.

ძალზე შთამბეჭდავი იყო ბავშვებისათვის ღია ცის ქვეშ ჩატარებული გაკვეთილი – ეს მათთვის დაუვიწყარი დღე იყო. წმინდა მთაზე სულ სხვა სულისკვეთებით წარმოსთქვამდნენ დიდი პოეტების ლექსებს, პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდნენ მათ მიმართ. ყვავილებით შეამკეს დიდი ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას, გალაკტიონის საფლავები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-3ბ კლასის მოსწავლეები: **სვეტლანა აბრამიანი, ანასტასია აბხაზოვი, ხათუნა ამოევი, ერიკ აგასიანი, რიკარდო ბაღდასაროვი, მარიამ ბოჭორიშვილი, დავით დერზიანი, მიხეილ ზემსკოვი, მაია მარტიაშვილი, ლანა სარქისიანი, რუდოლფ კარაპეტიანი** და **გარიკ ხაჩატუროვი**.

25 ნოემბერს, თბილისის №86 საჯარო სკოლის (დირექტორი – **იოსებ ხუციშვილი**) მე-3ბ კლასის მასწავლებელმა **ხათუნა მელიამ**, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, სასწავლო-შემოქმედებითი ხასიათის ღია გაკვეთილი ჩაატარა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, თემაზე – „მთაწმინდელები“.

მარინა ერანოსიანი
№86 საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგი

მეგობრობა გრძელდება

ერევნის მხითარ სებასტაცის სახელობის სკოლა-კომპლექსის (დირექტორი – **აშოტ ბლიანი**) მიწვევით, პროექტის „ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში (კოორდინატორი – **მაკო ჭილაშვილი**), ნინოწმინდის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახელობის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი – **სარქის დურგარიანი**) ქართული ენის კლუბის 13-მა წევრმა (ხელმძღვანელი – **ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი**), ისტორიის პედაგოგმა **ნარა მხითარიანმა**, ხელოვნების პედაგოგმა **ვანიკ თევანიანმა** მონაწილეობა მივიღეთ მხითარ სებასტაცის დღეებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლაში ქართული ენა ისწავლება, როგორც უცხო ენა და მას ინტერესით ეუფლებიან არა მარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებლებიც.

სკოლა-კომპლექსში ყველაფერი სიახლით სუნთქავს. ძირითად სკოლას „დედა სკოლას“ ეძახიან. კომპლექსს აქვს საბავშვო ბაღი, ხელოვნების სკოლა, პროფსასწავლებელი, კომპიუტერული ცენტრი „ობსერვატორიით“, რომლის საშუალებითაც „ციურ სხეულებზე“ დაკვირვება შეიძლება.

აქ შექმნილია თავისუფალი ატმოსფერო – კლასებს არა აქვს კედლები, მხოლოდ მინითაა იზოლირებული. არ ირეკება ზარი, მაგრამ მოსწავლეები მაინც არ აგვიანებენ. ყოველი დღე ლოცვით, გალობით, ცეკვითა და სიმღერით იწყება, რაშიც აქტიურადაა ჩართული დირექტორი. აღსანიშნავია, დირექტორის ზღვარდაცული ურთიერთობა მოსწავლეებთან და თანამშრობლებთან.

სკოლაში ყველაფერი კომპიუტერიზებულია. ყველა მოსწავლეს პერსონალური კომპიუტერი აქვს და დავალებებიც ამით მოწმდება. თუმცა, სკოლას დიდი ფონდის მქონე „უკედლო“ ბიბლიოთეკაში სამი ბიბლიოთეკარი გემსახურებათ. აქვე შეგიძლიათ, ისარგებლოთ სკოლის კომპიუტერებითაც.

სადღესასწაულო დღეები მოსწავლეთა და მასწავლებელთა სიმღერის გუნდების კონცერტით დაიწყო; გაიხსნა მცირე საკონცერტო დარბაზი, სადაც კამერული მუსიკის კონცერტი ჩატარდა; ხელოვნების სკოლაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნახატებისა და კერამიკული ნამუშავრების გამოფენა მოეწყო. სკოლას სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები და სომხეთის სხვადასხვა სკოლების წარმომადგენლები.

მოეწყო „მწნილის დღესასწაული“, რომელშიც მთელი სკოლა იყო ჩართული. უმცროსმა, საშუალო და უფროსმა კლასებმა ცალ-ცალკე წარმოადგინეს მათ მიერ დამზადებული და დეკორატიულად გაფორმებული სხვადასხვა მწნილები.

ჩვენი მეგზურობა ქართული ენის მასწავლებელმა, თბილისში გაზრდილმა **რინა შეგინიანმა** იტვირთა. სადღესასწაულო ღონისძიებებში ჩვენც ჩავერთეთ ცეკვითა და სიმღერებით. მასპინძლებს საჩუქრად გადავეცით ჩვენი მასწავლებლის, **ვანიკ თევანიანის** ნახატი „განძა“, ქართული სუვენირები და პლაკატები ქართული ენის კაბინეტისათვის.

ვიზიტის ფარგლებში, დაგვათვალიერებინეს ერევნის ღირსშესანიშნაობები, ვიყავით ეჩმიაძინში, რიფსიმესა და გაიანეს ტაძრებში.

კმაყოფილები და აღფრთოვანებულები დავბრუნდით საქართველოში. მოსწავლეებმა ნახეს, მათი თანატოლები და მასწავლებლებიც როგორი ინტერესით სწავლობენ ერევანში ქართულ ენას, რამაც ერთგვარად აამაღლა მათში ქართული ენის შესწავლის მოტივაცია.

ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება. რუსთაველმა დაგვამეგობრა და ქართული ენა გააგრძელებს ჩვენს მეგობრობას.

ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი
ნინოწმინდის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგი

იურისტის კონსულტაცია

რა რეკომენდაციებს აძლევს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა უფლებების უკეთესად დაცვის მიზნით?

წლების განმავლობაში პრაქტიკად იქცა დირექციის მხრიდან პედაგოგთა უფლებების უხეში დარღვევა, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებები, შეუსაბამო შრომის ანაზღაურება და სოციალური დაცვის გარანტიები.

ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული კავშირების დევნა და შევიწროება გაერთიანების თავისუფლების უხეში შელახვით. სახელმწიფოს პოლიტიკას წარმოადგენდა პროფესიული კავშირების შესუსტება და მისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა.

დღეს სამართლიანობა მოითხოვს, სახელმწიფოს მიერ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები პედაგოგთა უფლებების დაცვისა და მასწავლებელთა გაერთიანებების (პროფესიული კავშირების) გაძლიერების მიმართულებით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა უფლებების დაცვის გარანტიების გაძლიერების კუთხით, მიზანშეწონილია, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის შემდეგ ბრძანებებსა და კანონმდებლობაში:

1. ბრძანება №959 – საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ (11.10.2007)

1.1 №959 ბრძანების მე-4 მუხლში მიზანშეწონილია, დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: **საჯარო სკოლების დირექტორთა მიერ პედაგოგებთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობები განისაზღვრება პედაგოგთა პროფესიულ კავშირთან შეთანხმებით.**

დასაბუთება : უკვე რამდენიმე წელია, საჯარო სკოლების დირექტორებმა პრაქტიკად აქციეს პედაგოგთა უფლებების უხეში დარღვევა, მასწავლებელთათვის შრომითი ხელშეკრულების უსამართლო პირობების შეთავაზება და პედაგოგთა პროფესიული კავშირის როლის იგნორირება მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში. პედაგოგთა პროფკავშირს ხშირად აკითხავენ პედაგოგები, რომლებიც ჩივიან უკვე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების კაბალური პირობების შესახებ, საჯარო სკოლების ადმინისტრაციების მიერ მათი შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე.

„ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჭ“ ქვეპუნქტის თანახმად, სქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო *„პროფესიული კავშირების მონაწილეობით ადგენს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს, ამტკიცებს სკოლების მიერ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობებს“.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, მასწავლებელთა უფლებების დარღვევის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია პროფესიული კავშირი ჩაერთოს პედაგოგთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების პროექტის შემუშავების სტადიაზე, რათა ხელშეკრულების სამართლიანი პირობების განსაზღვრით, თავიდან იქნეს აცილებული პედაგოგთა ინტერესებისა და უფლებების ხელყოფა სკოლების ადმინისტრაციების მიერ.

1.2 №959 ბრძანების მე-9’ მუხლის არსებული შინაარსი მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: **სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი შრომითი ხელშკრულების გაფორმების შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია პედაგოგთან გააფორმოს გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულება - მინიმუმ 3-5 წლის ვადით.**

დასაბუთება: ბოლო რამდენიმე წელია მავნე ტენდენციად იქცა საჯარო სკოლების დირექტორთა მიერ მასწავლებლებთან მოკლევადიანი შრომითი კონტრაქტების (სამთვიანი, ექვსთვიანი და ერთწლიანი) გაფორმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების მე-9’ მუხლის თანახმად, „სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, რეკომენდებულია გრძელვადიანი – მინიმუმ 3-5 წლის ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმება“. საჯარო სკოლების პედაგოგებთან მოკლევადიანი (სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი) შრომითი კონტრაქტების გაფორმების ბოლოდროინდელი ტენდენცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ №959 ბრძანება ითვალისწინებს მასწავლებლებთან გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ბრძანების მე-9’ მუხლში ეწეროს სიტყვა – რეკომენდებულია. ბრძანება არის შესასრულებლად სავალდებულო აქტი და მის მუხლებს არ უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი. ამასთანავე, შეთავაზებული ცვლილება მოხსნის მე-9’ მუხლის ორაზროვნად წაკითხვის შესაძლებლობას დაინტერესებული პირების მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, პედაგოგთა სტრესული სამუშაოს გათვალისწინებითა და უფრო მეტი დაცულობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია №959 ბრძანებით საჯარო სკოლების დირექტორთა ცალსახა დავალდებულება – გააფორმონ მასწავლებლებთან გრძელვადიანი შრომითი კონტრაქტები. პედაგოგი ორიენტირებული უნდა იყოს სწავლების ხარისხზე და არა იმაზე, გაუგრძელებს თუ არა დირექტორი ხელშეკრულების ვადას 6 თვეში ერთხელ ან წელიწადში ერთხელ. გრძელვადიანი შრომითი კონტრაქტების გაფორმება მოხსნის ხშირი დაძაბულობისა და სტრესის მომენტს მასწავლებელთა მხრიდან, ამასთანავე, შეასუსტებს სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე, დირექტორების პედაგოგებზე ზეწოლას ხელშეკრულების ვადის არ გაგრძელების მუქარით.

(რეკომენდაციები გაგრძელდება)

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

მოცურავეები ფესტივალისთვის გუნდს აშენებენ

2015 წელს თბილისში გასამართი ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მოცურავეებიც ემზადებიან, რომლებიც, პრაქტიკულად, ახლა იწყებენ გუნდის შენებასაც და ამ სახეობის აღორძინებასაც. უკვე ჩატარდა რამდენიმე ტურნირი 9-11 წლის მოზარდთა შორის და გამოიკვეთა ის ბირთვი, რომელიც ფესტივალისთვის ემზადება. ცხადია, წლიდან წლამდე მათი შემადგენლობა იცვლება, მოდის ახალი თაობაც, მაგრამ ორიენტირად ეს გუნდი რჩება, რომელიც იმედის მომცემ შედეგებს იძლევა.

ამ დღეებში მორიგი სასელექციო შეჯიბრება ჩატარდა გლდანის საცურაო აუზში 1999-2000 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის, რომელშიც რუსთავის, ჭიათურის, საჩხერის, გორის ჭაბუკებთან ერთად თბილისური კლუბების – „ტონუსის“, „ოლიმპიკის“, „ლაგუნა ვერეს“, სპორტთაიმის“ „ნეპტუნის“, „დიღმის“, „გლდანისა“ და „ვაკის საცურაო აუზის“ 100-მდე მოზარდი გამოდიოდა.

გამორჩეულ წარმატებას მიაღწიეს რუსთაველმა **რუსუდან გოგინაშვილმა** და თბილისელმა **ირაკლი კვარაცხელიამ** („ტონუსი“) – მათ 4-4 ოქრო მოიპოვეს. გოგინაშვილმა გაიმარჯვა ბრასით და ბატერფლაით 100-100 და 200-200 მეტრებზე ცურვაში, კვარაცხელიამ კი გაიმარჯვა 100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი ყაიდით, ბრასით და გულაღმა ცურვაში, აგრეთვე – 200 მ-ზე კომპლექსურ გაცურვაში.

გოგოებში 2-2 ოქრო მოიპოვეს **ელენე ბერაიამ** („სპორტთაიმი“) და საჩხერელმა **ნათია მაჭავარიანმა**. ბერაიამ თავისუფალ ყაიდაზე მოკლე დისტანციებზე იცურა ყველაზე სწრაფად – 100 და 200 მეტრებზე, რასაც ბატერფლაის სტილში 200 მეტრზე ვერცხლიც დაუმატა. მაჭავარიანმა გულაღმა ცურვით 100 და 200-ზე იმარჯვა. გოგოებში კიდევ ერთმა შეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა – ჭიათურელმა **მარიამ ხუტუნიშვილმა** 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოიპოვა ოქრო, დარჩენილ ოთხ დისტანციაზე კი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა. გოგოებში სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს თბილისელებმა– **მერი მუმლაძემ** და **თათული ლეგაშვილმა** (ორივე – „ტონუსი“), რუსთაველებმა – **თეონა ომიაძემ**, **ლიკა ჩიხორიამ**, **ნათია იაგანაშვილმა** და საჩხერელმა **ქეთევან გაგნიძემ**.

ბიჭებში 2 ოქრო დაისაკუთრა **ილია პაპიძემ** („ლაგუნა-ვერე“), რომელიც ახალ თაობაში ერთ-ერთი გამორჩეულია. მან ამჯერად 100 და 200-ზე ბრასით ცურვაში იმარჯვა. გამოსარჩევია გორელი **გივი დუდაშვილის** გამოსვლაც, რომელმაც სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა, ყველაზე უკეთ კი თავისუფალ სტილში 200 მეტრზე გაცურა. ოთხ დისტანციაზე გამოვიდა რუსთაველი **ლუკა პატარაია**, აქედან ყველაზე უკეთ ბატერფლაით 200 მეტრზე იასპარეზა, დანარჩენ სამში კი ვერცხლი მოიპოვა. („ტონუსი“) თითო ოქრო-ვერცხლი ირგუნეს ტონუსელებმა – **ვახტანგ ბლუაშვილმა** და **გიორგი ხვედელიძემ**, საჩხერელი **ლევან ბახტურიძე** კი ორ ვერცხლს დასჯერდა. ორი ბრინჯაოთი დაბრუნდნენ გორში **ვლადიმერ ტერლეცკი** და საჩხერეში – **ოთარ ივანაშვილი**, თუმცა მის აქტივში დამატებით ერთი ვერცხლიცაა. ამათ გარდა, ტურნირის მედალოსნები გახდნენ: ტონუსელები – **საბა მდივანი** და **რატი კერვალიშვილი**, **სანდრო მამულაშვილი** (ვაკის აუზი) და **უჩა წერეთელი** („ოლიმპიკი“).

სასიხარულოა, რომ ამ მოზარდების უმეტესობა ბოლო თვეებში საგრძნობლად უმატებს შედეგებს.

თბილისის პატარა ჩემპიონები

თბილისის ჭიდაობის ფედერაციისა და დედაქალაქის მერიის დაფინანსებით, ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა თბილისის პირველობაში იასპარეზეს. შეჯიბრებაში ორი ასაკის (1996-1998 და 1999-2000 წ.წ.) 100-ზე მეტი მოზარდი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის.

„კარგა ხანია, 12-16 წლის ბიჭების მსგავსი ჭიდაობა არ მინახავს, – მითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **დავით დავითაიამ,** – *სიხარულის ცრემლს ვერ ვიკავებდი, ხალიჩაზე პატარების შემართებასა და მათ მიერ ჩატარებული ფანდების კორიანტელს რომ ვუყურებდი. ეს არის ჩვენი მომავალი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართულ ჭიდაობას ღირსეული ცვლა ეზრდება, ოღონდ ამ ყმაწვილებისთვის მსგავსი ღონისძიებები წელიწადში ორ-სამჯერ მაინც უნდა ჩატარდეს. უკეთესი საწვრთნელი პირობები უნდა შევუქმნათ, როგორც უწინ და მაშინ თითოეულ წონაში მეტი კონკურენცია იქნება, ვიდრე დღეს. დიდი მადლობა თბილისის მერიას და დედაქალაქის ჭიდაობის ფედერაციას, რომლებმაც მოზარდებს ასეთი ზეიმი აჩუქეს...“*

უფროსთა შორის ოქროს მედლებს დაეუფლნენ: **ალეკო ქაქუთია** (42), **ილია ტყებუჩავა** (46), **ბახვა მიქაძე** (50), **ანზორ ფირუზაშვილი** (54), **ლევან რამაზაშვილი** (58), **გიორგი გუგუნაშვილი** (63), **გივი ქართველიშვილი** (69), **ბესლან კუშტანაშვილი** (76), **ლევან გადაბაძე** (85), **თენგო ძებნიაური** (100).

უმცროსებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ: **ნიკა ნინუა** (29), **ნიკა შერბაკოვი** (32), **გიგი ოთიაშვილი** (35), **ლუკა შანავა** (38), **ბაჩო შავაძე** (42), **ნიკა მიქაძე** (47), **დავით ქოჩქიანი** (53), **ხვიჩა ნაცვლიშვილი** (59), **ზაზა სილაგაძე** (66), **დავით შაქარაშვილი** (73), **ბიძინა ინაშვილი** (+73).

ახმეტელთა წარმატება

ამ დღეებში, ბაქოში, დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი 1999-2001 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც მასპინძლების, ირანელი, თურქი და რუსი მოზარდების გვერდით ახმეტის **ზურაბ ზვიადაურის** სახელობის ძიუდოს სპორტული სკოლის ნაკრები მონაწილეობდა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ზვიადაურის პირველ დამრიგებელ **გუგული აბრამიშვილისა** და **ზაზა კოტორაშვილის** თავკაცობით. ჩვენები ბაქოში 8 სპორტსმენით წავიდნენ, რომელთაგანაც 7-მა მედალი მოიპოვა – 3 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. ერთ წონაში ქართული ფინალიც გაიმართა – 55 კილოგრამში **ბაჩანა სარქისაშვილმა ილია ბათურიშვილი** დაამარცხა. სარქისაშვილის გარდა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **მიხეილ შათირიშვილი** (34) და **გიორგი ახალაურიც** ავიდნენ, ანალოგიურ წარმატებამდე კი ერთი მოგება დააკლდა **გიორგი სუხოშვილს**. ბრინჯაოს მედლებს **ლევან ებელაშვილი** (34) და **გიორგი ბათურიშვილი** (60) დაეუფლნენ.

ჭაბუკთა მორიგი შანსი

ამ დღეებში თბილისმა ისევ უმასპინძლა სახელოვანი ფალავანის, მსოფლიოს ხუთგზის, ევროპის ოთხგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლერი ხაბელოვის** სახელობის ტურნირს ჭაბუკთა შორის, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა – 1997-98 და 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებას საპატიო სტუმრები დაესწრნენ – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **გურამ საღარაძე**, მსოფლიოს ასევე ორგზის გამარჯვებული, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ლუკა კურტანიძე**, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **ზარიბეგ ბერიაშვილი**, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **დავით პოლოსიანი**, ევროპის ჩემპიონი **ემზარ ბედინეიშვილი**.

შეჯიბრებამ მოზარდთა დიდი ინტერესი გამოიწვია – 26 გუნდის 250-მდე მოზარდი გამოდიოდა. გამორჩეული აღიარება უფროსთა შორის 69 კილოგრამში გამარჯვებულ **თორნიკე კიკნაძეს** (ხაბელოვის კლუბი) ხვდა წილად, რომელსაც ხაბელოვის თასი და ფულადი ჯილდო გადაეცა, ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ კი ამავე ასაკის წარმომადგენელი რუსთაველი **ლექსო კილაძე** (42) დაასახელეს.

მათ გარდა, უფროსებში, წონის მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ ხაშურელები – **ალეკო ლომიძე** (46) და **გაიოზ გონგლაძე** (50), **ლევან ინასარიძე** (54; გამარჯვება), **გოჩა ყიფშიძე** (58; აჭარა), **ჯანგირ ახმედოვი** (63; ქარელი), **მოგელი მეზვრიშვილი** (76; გორი) და **კოტე გაბაშვილი** (85; ლევან თედიაშვილის სახელობის კლუბი), უმცროსებში – **შამილ გაჯიევი** (26; ყვარელი), **თორნიკე ქათამაძე** (29; აჭარა), **ნიკა გოგრიჭიანი** (32), **გიორგი გელაშვილი** (35), **ვლადიმერ გამყრელიძე** (38; სამივე – ამბროლაური).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

სიახლე!



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძართველოში
3. გარეული ცხოველები საძართველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საძართველოში
7. საძართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა გედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი

მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK